საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 30-31 დეკემბერი. 2020 წ. №192-193 (9118-9119) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს, იქნებ ამ წელს მაინც გვეშველოს!

ქართველო ხალხო! აღარ გენახოს ყამირი, ტრამალი, ნაბაღარი, ნავენახარი, აღარ იყოს არაშენდა, სულ აშენდა ყოფილიყოს! მრავალი გქონდეს სახნელი, სამკელი, გასალეწი, დასაკრეფი, დასარგავი! გიმრავლოს ზვრები, ხოდაბუნები, პლანტაციები, წალკოტები, ბაღნარები!

გიორგი ლეონიძე

იხ. 8 გვ.

2021 წელი ეკონომიკურად უმჯობესი იქნება!

ხარი

აგრემც ვალმოხდილ, ნაჯაფარ ბებერ ქედს ვენაცვალები,
სულ ნაღვლიანი რადა გაქვს ჯიღა, საცერა თვალები!
წარმართმა გხატე კლდეებზე, ათას მისნური ქარაგმით
და ხარი ღმერთად გიწამე, გწირე და გწირე ზვარაკი.
შენ გთხოვდა კაცის შენახვას უფალი ღმერთი იესო
და შენაც ერჩოლებოდი შიმშილს და სიღარიბესო.
ურმულით, გუთნისდედურით სულს ლევდნენ მამა-პაპანი
და მათთან ერთად შენც სწიე ქართლის ცხოვრების ჭაპანი.
აშენე ციხე-ქალაქი, ააგე ბევრი საყდარი,
რომ ქართველს აბჯარგაუხდელს მტერი ჰყოლოდა წამხდარი.
სისხლს ღვრიდნენ გუთნისდედები, ოფლს ღვრიდნენ მეციხოვნენი,
გუთნის ტარი და ხმლის ტარი საჭეა ქართლის ცხოვრების.
ცხადში ხომ მყავდი მეგობრად, შემშველებიხარ ზღაპარშიც,
ოფლში და პაპანებაში ერთად ვართ გამონახარში.
ფეხზე მაცმევდი ქალამანს, ყანწს მომაწვდიდი ნადიმში,
დაგკლავდით დიდ ზამთრობისას, მაძღრად გვყოლოდა ბადიში.
ძეობა იყო - გლეხკაცი ისევ შენ გდებდა იმედებს,
ღრეობა იყო, ვაიმე, ისევ შენ გამოგიმეტეთ.
ქორწილი იყო... ვაიმე, მტკიოდა გული საღადრე,
წამოგაქციეთ ნაჯაფი და ყელი გამოგაღადრეთ.
ცხედარიც მიპატიოსნე აღაპ-ქელეხის წესებით...
დავჯექ და ჩემს მარჩენალზე ტირილით ვწერე ლექსები...
გვიმრავლდეს საქართველოში მიწის და მზის მოხარკედა
ხარივით მსმელი ვაჟკაცი — ხარითვალა და ხარქედა.
ნეტავი, ღმერთო, მეც მომცა ჯანი და მადა ხარისა,
სიტყვა — ხარივით გამწევი მამულის გასახარისად.
ვიყო ხარივით ამტანი, ვიყო ხარივით მომთმენი,
ჩემი პატარა ქვეყნისთვის მეც შევძლო ხარისოდენი...

შოთა ნიშნიანიძე

სრული „ლოკდაუნი“ არ იქნება!

– ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ საკოორდინაციო სხდომის დასრულების შემდეგ გუშინ განაცხადა.

„არ იქნება არანაირი შეზღუდვა ავტომობილებით და ფეხით გადაადგილებაზე. ერთადერთი 24 დეკემბრიდან გახსნილი სავაჭრო ობიექტები დაიხურება“. პრემიერ-მინისტრის თქმით, ქვეყანაში სრული ლოკდაუნის გამოცხადების აუცილებლობა არ არსებობს. **„კიდევ უფრო მკაცრი შეზღუდვები გადაადგილებაზე არ იქნება, ეს არის ჭორები“...**

გიორგი გახარია ოპოზიციას პარლამენტში დროულად შესვლას სთავაზობს!

მე არანაირ მოლაპარაკებებში არ ვმონაწილეობ და არანაირი მოლაპარაკების შესახებ არაფერი ვიცი, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ გუშინ განაცხადა.

მისივე თქმით, თუ ოპოზიცია არ შეასრულებს მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას, მოქალაქეები ამ ყველაფერს შესაბამის შეფასებას მისცემენ მომდევნო არჩევნებში. **„შეთავაზება მექნება ერთი, რომ დროზე შევიდნენ პარლამენტში და ჩვენმა მოქალაქეებმა რა ვალდებულებებიც მიანიჭეს, ის პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღონ და შეასრულონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი მოქალაქეები შესაბამის შეფასებას მისცემენ შემდეგ არჩევნებზე“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პენსიებისა და კომპენსაციებისთვის – 2021 წელს 2 მილიარდ 600 მილიონი ლარი

ფინანსთა მინისტრის ივანე მაჭავარიანის განცხადებით, მომდევნო წელს ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსებისთვის განსაზღვრულია 5 მილიარდ 563 მილიონი ლარი, საიდანაც 2 მილიარდ 600 მილიონი ლარი გათვალისწინებულია პენსიებისა და კომპენსაციებისთვის.

„ამ თანხაში მოიაზრება როგორც მიმდინარე წელს გაზრდილი პენსიის დაფინანსება, ასევე ინდექსაციის შესაბამისად, პენსიების ზრდა მომდევნო წლის იანვრიდან. კერძოდ, 70 წლამდე პენსიონერებისთვის 20 ლარით, ხოლო 70 წლისა და მეტი ასაკისთვის კი – 25 ლარით“ – აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

მისი თქმით, მიზნობრივი სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართება 930 მილიონ ლარამდე, პანდემიასთან დაკავშირებულ ხარჯებზე გათვალისწინებულია 710 მილიონ ლარამდე, საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსება შეადგენს 800 მილიონ ლარს. **„აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, პროგრამაზე დამატებითი რესურსების გამოყოფით, შესაძლებელი გახდა მომსახურების ანაზღაურების ვადები 4 თვიდან შემცირებულიყო 2 თვემდე, რაც პანდემიის პირობებში, კლინიკებისთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოჩნდა,“** – განაცხადა ივანე მაჭავარიანმა.

დევნილთა სახლების მშენებლობა/შესყიდვაზე გათვალისწინებულია 65 მილიონი ლარი. ამავე მიმართულებით, 30 მილიონ ლარზე მეტი გამოყოფილია ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

2021 წელს 2 მილიარდ 600 მილიონი ლარი პენსიებისა და კომპენსაციებისთვის

ფინანსთა მინისტრის ივანე მაჭავარიანის განცხადებით, მომდევნო წელს ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსებისთვის განსაზღვრულია 5 მილიარდ 563 მილიონი ლარი, საიდანაც 2 მილიარდ 600 მილიონი ლარი გათვალისწინებულია პენსიებისა და კომპენსაციებისთვის.

„ამ თანხაში მოიაზრება როგორც მიმდინარე წელს გაზრდილი პენსიის დაფინანსება, ასევე ინდექსაციის შესაბამისად, პენსიების ზრდა მომდევნო წლის იანვრიდან. კერძოდ, 70 წლამდე პენსიონერებისთვის 20 ლარით, ხოლო 70 წლისა და მეტი ასაკისთვის კი – 25 ლარით“ – აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

მისი თქმით, მიზნობრივი სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართება 930 მილიონ ლარამდე, პანდემიასთან დაკავშირებულ ხარჯებზე გათვალისწინებულია 710 მილიონ ლარამდე, საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსება შეადგენს 800 მილიონ ლარს. **„აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, პროგრამაზე დამატებითი რესურსების გამოყოფით, შესაძლებელი გახდა მომსახურების ანაზღაურების ვადები 4 თვიდან შემცირებულიყო 2 თვემდე, რაც პანდემიის პირობებში, კლინიკებისთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოჩნდა,“** – განაცხადა ივანე მაჭავარიანმა.

დევნილთა სახლების მშენებლობა/შესყიდვაზე გათვალისწინებულია 65 მილიონი ლარი. ამავე მიმართულებით, 30 მილიონ ლარზე მეტი გამოყოფილია ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

სამი მილიონი გრანტი სურსათის უზრუნველყოფისათვის!

2020 წელს, ევროკავშირმა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) საქართველოში 84 სასოფლო-სამეურნეო გრანტი გასცეს, რომელთა საერთო ღირებულება სამ მილიონ ლარს აჭარბებს.

საგრანტო კონკურსი „კოვიდ-19“-ის პანდემიის პირობებში საქართველოს მხარდაჭერის პროგრამის ნაწილია და მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერას, პროდუქტიულობის ამაღლებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სურსათის მდგრადი წარმოების მხარდაჭერას. საგრანტო თანადაფინანსება ისეთი კაპიტალური ინვესტიციების განსახორციელებლად გაიცა, როგორიცაა ნიადაგის დამუშავებისთვის საჭირო ტექნიკის შეძენა, მეცხოველეების ფერმებისთვის განკუთვნილი დანადგარების, რძის პროდუქტებისა და ბოსტნეულის წარმოებისთვის საჭირო ინვენტარის შესყიდვა-დამონტაჟება და ა.შ.

ამავდროულად, კლიმატგონივრული და ხარჯის დამზოგავი სასოფლო-სამეურნეო მეთოდების დანერგვის მიზნით, ევროკავშირმა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ წვლილი შეიტანეს ისეთი თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო გადაწყვეტილებების შესყიდვა-გავრცელებაში, როგორიცაა წვეთოვანი სარწყავი სისტემები.

უკვე გაცემული სამი მილიონის გარდა, დეკემბრის თვეში კიდევ 18 ბენეფიციარს დაუმტკიცდა 2,6 მილიონი ლარის ოდენობის საგრანტო დაფინანსება, რომელთა გაცემა ამჟამად მიმდინარეობს.

საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება გრძელდება

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა დაადასტურა, რომ საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება გრძელდება, – ასე გამოეხმაურა პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი აშშ-ის კონსოლიდირებული ასიგნებების აქტს, სადაც საქართველოსთვის ფინანსური დახმარების გაწევაზეა საუბარი.

მისივე შეფასებით, ამერიკის მხრიდან საქართველოში ინვესტიციების განხორციელების საუკეთესო პირობებია.

„როცა დახმარებაზეა საუბარი, ამერიკის შეერთებული შტატები სახელმწიფოში შექმნილ ვითარებას ყოველთვის ითვალისწინებს. როცა ეს გადაწყვეტილება იყო მიღებული, მოუსმინეს სახელმწიფო მდივნის ანგარიშს საქართველოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, ასევე ამერიკულ ინვესტიციებზე იყო საუბარი და ათასგვარი ინსინუაციები კეთდებოდა, თუმცა სახელმწიფო მდივანმა დაადასტურა და ალბათ, დამოკიდებულება არც მომავალში შეიცვლება, რომ საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება გრძელდება, პროცესი სტაბილურია და ამერიკის მხრიდან ინვესტირებისთვის საუკეთესო პირობებია, რაც ხორციელდება კიდეც საკმაო მასშტაბით“, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

შეგახსენებთ, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა კონსოლიდირებული ასიგნებების აქტს, სადაც საქართველოსთვის არანაკლებ 132 025 000 დოლარის ოდენობით ფინანსური დახმარების გაწევაზეა საუბარი.

აღნიშნული კანონი მანამდე აშშ-ის ასიგნებების კომიტეტმა მიიღო, მოგვიანებით კი კონგრესმა დაამტკიცა, რის შემდეგაც ის ხელმოსაწერად პრეზიდენტს გადაეგზავნა. კანონი სახელმწიფო მდივანს ავალდებულებს, დოკუმენტის ძალაში შესვლიდან 90 დღის ვადაში, კონგრესის ასიგნებათა კომიტეტს წარუდგინოს ანგარიში საქართველოში „კანონის უზენაესობის და ინსტიტუტების ანგარიშვალდებულების“ შესახებ.

საოცნებო „ოცნებავ“, ფრთხილად, დენმა არ დაგარტყათ!!!

სემეკ-ის გადაწყვეტილებით, საყოფაცხოვრებო ტარიფი, (დღგ-ს ჩათვლით) 3.5 თეთრით იზრდება. თბილისის მოსახლეობისა და კომერციული სექტორისთვის ელექტროენერგიის გაძვირებული ტარიფი პირველი იანვრიდან ამოქმედდება და ელექტროენერგიის განაწილების ტარიფი ძალაში 2025 წლის ბოლომდე იქნება.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებმა დადგენილების პროექტს ერთხმად დაუჭირეს მხარი.

„თელასის“ სამომხმარებლო ტარიფები მოსახლეობისთვის შემდეგი იქნება:

პირველი საფეხური (101 კვტ.სთ-ის ჩათვლით) – მოქმედი ტარიფი 14.544 თეთრი – ახალი ტარიფი 18.041 თეთრი;

მეორე საფეხური (101-301 კვტ.სთ) – მოქმედი ტარიფი 18.556 თეთრი – ახალი ტარიფი 22.053 თეთრი;

მესამე საფეხური (301 კვტ.სთ-ზე მეტი) – მოქმედი ტარიფი 23.040 თეთრი – ახალი ტარიფი 26.537 თეთრი.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, 2021 წლის პირველი იანვრიდან დენის ტარიფი „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აბონენტებისთვისაც იზრდება.

სემეკ-ის დადგენილების პროექტით, ასევე 3,5 თეთრით იზრდება ტარიფი „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აბონენტებისთვის.

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ ტარიფები მოსახლეობისთვის (დღგ-ს ჩათვლით) შემდეგი იქნება:

პირველი საფეხური (101 კვტ.სთ-ის ჩათვლით) – მოქმედი ტარიფი 14.237 თეთრი – ახალი ტარიფი 17.731 თეთრი;

მეორე საფეხური (101-301 კვტ.სთ) – მოქმედი ტარიფი 18.213 თეთრი – ახალი ტარიფი 21.707 თეთრი;

მესამე საფეხური (301 კვტ.სთ-ზე მეტი) – მოქმედი ტარიფი 22.733 თეთრი – ახალი ტარიფი 26.227 თეთრი.

სემეკის გადაწყვეტილებით, ელექტროენერგიის ტარიფი კომერციული სექტორისთვის დაახლოებით 11 თეთრით მოიმატებს.

მოსახლეობისთვის 2021 წელს გაზის ტარიფი არ გაიზრდება

გაზის საყოფაცხოვრებო ტარიფის გადახედვა წელს არ იგეგმება, – ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ, საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. თურნავას განცხადებით, ერთი წლის წინ მოხდა გაზის ტარიფების გადახედვა. **„იმიტომ, რომ დიდი ინვესტიცია განხორციელდა გაზიფიკაციის პროექტში და ეს აისახა ტარიფში, მაგრამ მოსახლეობას ეს საერთოდ არ უგრძვნია. მაშინაც, როგორც ახლა სუბსიდირების გადაწყვეტილება მივიღეთ“,** – აღნიშნა თურნავამ.

მისი თქმით, რომ არა სუბსიდირება, გაზის ტარიფი მოსახლეობისთვის გაცილებით მაღალი იქნებოდა. **„წელს გაზის კორპორაციის მეშვეობით ვაკეთებთ მოსახლეობის ტარიფის სუბსიდირებას. რომ არა სუბსიდირება, გაზის ტარიფი გაცილებით მაღალი იქნებოდა მოსახლეობისთვის. ამ ნაწილშიც ჩვენ ვასრულებთ ვალდებულებას“,** – განაცხადა თურნავამ.

სოციალურად დაუცველებისთვის წყალმომარაგების ტარიფს სახელმწიფო ფულადი დახმარებით აანაზღაურებს

წყალმომარაგების ტარიფსაც, რომელიც თბილისში, მცხეთასა და რუსთავში, ასევე, როგორც ჩანს, გაიზრდება, რამეთუ ისიც წლების განმავლობაში არ გადახედილა, სოციალურად დაუცველებისთვის სახელმწიფო სრულად დაასუბსიდირებს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„ტარიფის ზრდას თავისი ობიექტური დასაბუთება და ახსნა აქვს. მოგეხსენებათ, 2017 წელს მოხდა მეთოდოლოგიის ცვლილება, რის შედეგადაც, 3 წლის განმავლობაში ტარიფი არ გადახედილა. რა თქმა უნდა, მეთოდოლოგიის ეს ცვლილება შეიძლება სხვადასხვანაირად იყოს შეფასებული, თუმცა დღეის მდგომარეობით, ეს არის ფაქტი. ამიტომ ყველას კარგად გვესმის, რომ მოსალოდნელია ტარიფის ზრდა ელექტროენერგიაზე, ისევე როგორც წყალზე, ოღონდ წყლის შემთხვევაში საუბარია თბილისზე, რუსთავსა და მცხეთაზე. ჩვენ, როდესაც ერთი მხრივ ჩვენს მოქალაქეებს, საქართველოს ოჯახებს სოციალურ მიზნობრივ დახმარებას ვუწევთ, ყველას კარგად გახსოვთ, რომ ჯერ კიდევ გაზაფხულზე დავიწყეთ კომუნალური გადასახადის სუბსიდირება საქართველოს მოქალაქეებისთვის, ეს ეხებოდა ელექტროენერგიას, გაზს, წყალს, ეს იყო 4 თვის განმავლობაში მაშინ და ასეთი სუბსიდირება დღესაც მიმდინარეობს, რომელიც დაიწყო ნოემბრიდან. ეს სუბსიდირება შეეხო საქართველოს 1.2 მლნ აბონენტს, რაც ფაქტობრივად ნიშნავს 1.2 მლნ ოჯახს. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში ჩვენ ჩვენი მოქალაქეების სოციალური მდგრადობის შენარჩუნება უზრუნველვყოთ ისე, როგორც შეგვიძლია, იმ რესურსებით, რომელიც სახელმწიფოს გააჩნია და როდესაც თუნდაც ობიექტური მიზეზების გამო ხდება ელექტროენერგიაზე ტარიფის ზრდა, რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის არის შემდგომი ახალი გამოწვევა, რომელსაც ხელისუფლებამ და საქართველოს მთავრობამ, რა თქმა უნდა უნდა, უპასუხოს...

ხალხის მიერ ბიუჯეტში გადახდილ ფულს ხელი არ ახლოთ, თქვე მათხოვრებო!

მთავრდება 2020.

მთავრდება წელი, რომელმაც ბევრი განსაცდელი მოუტანა როგორც მსოფლიოს, ისე საქართველოს.

მთავრდება და იმედით ვუყურებთ იმ 2021-ს, რომელმაც სიმშვიდე, სიკეთე და ბედნიერება უნდა მოგვიტანოს.

მართლაც ძალიან რთული იყო 2020.

მსოფლიო პანდემია და მისგან გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი. კონფლიქტი რეგიონში და ამ ყველაფრის პარალელურად, არჩევნები, რომელიც მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საქართველოს მტრების მედიასაშუალებების მიერ მოსახლეობის ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ მიმდინარეობდა.

გაგიკვირდებათ და ამ ყველაფერმა საკმაოდ ბევრი პოზიტიური რამ წარმოაჩინა.

წერილის დასაწყისში ერთი მცირე განმარტება მინდა:

როდესაც ე.წ. ოპოზიციაზე რაიმე პოსტს ან სტატიას ვწერ, არანაირად არ ვგულისხმობ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“.

მიუხედავად იმისა, რომ მათ მიმართ გარკვეულწილად მაქვს ტაქტიკურ სვლებში უთანხმოება, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ მათს დამოკიდებულებაში სამშობლოსთან, დიახ, სწორედაც სამშობლოსთან, და არა ქვეყანასთან, ან სახელმწიფოსთან!

ზუსტად ვიცი მათ მიერ ბიუჯეტიდან მიღებული თანხების განკარგვის წესი და ზუსტად ვიცი ის პოლიტიკური ნება, რაც მათ ამოძრავებთ.

ზუსტად ვიცი, რომ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ არის ერთადერთი რეალური და კონსტრუქციული ოპოზიციური პოლიტიკური ძალა, რომლის ყოფნა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში აუცილებელი პირობაა!

მთავარ სათქმელს კი დავიწყებ იმით, რომ ჩვენს ბრწყინვალე სამედიცინო პერსონალზე ნაცტელევიზიებისა და მათი ბელადების განწყვეტელი თავდასხმების მიუხედავად, საქართველომ და არა მხოლოდ საქართველომ, არამედ მთელმა მსოფლიომ, ნათლად დაინახა ჩვენი ექიმების პროფესიონალიზმი და თავდადება.

„დ'არტანიანმა და სამმა მუშკეტერმა“, თავიანთ კოლეგებთან ერთად გვაჩვენეს, რომ მათი იმედი ყოველთვის უნდა გვქონდეს!

სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გაყინვისთანავე მაიკ პომპეოს ვიზიტი, რუსეთისა და თურქეთის გააქტიკურების ფონზე აშშ-ს მხრიდან იყო პირდაპირი განაცხადი იმის შესახებ, რომ საქართველო კავკასიის რეგიონში აშშ-ს ერთადერთი და ყველაზე დასაყრდნობი პარტნიორია, რაც თუნდაც იმ თანხებითაც აისახა, რომლებიც აშშ-ს ბიუჯეტში კონკრეტულად საქართველოსთვის არის გათვალისწინებული:

მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, საქართველომ არ შეაჩერა ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც პანდემიის დამარცხების შემდეგ, ბევრ სხვა ქვეყანასთან შედარებით, ძალიან დიდ უპირატესობაში ჩაგვაყენებს.

ის სამთავროპო პროგრამა, რომელიც გიორგი გახარიამ წარმოადგინა, მიმართულია მომდევნო 4 წელიწადში პანდემიის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის და ეკონომიკური კრიზისის მაქსიმალურად სწრაფად გადალახვისთვის.

ყველა პრიორიტეტზე საუბარი ჩემი მხრიდან არ იქნება სწორი, რადგანაც თითოეული მათგანი კონკრეტული მიმართულების სპეციალისტმა უნდა განიხილოს, მაგრამ ის უმთავრესი, რაც პრემიერმა წარმოადგინა, არის აბსოლუტურად სწორი და მიღწევადი.

მომდევნო 4 წელიწადში მთავრობის ამოცანა იქნება ეკონომიკის კრიზისიდან სწრაფი გამოყვანა, იმ პოზიტიური ტენდენციების დაბრუნება, რაც კრიზისამდე გვქონდა და სწრაფი ზრდის მიღწევა. ასევე, ჩვენი ეკონომიკის გარდაქმნა „შესაძლებლობების“ ეკონომიკად. გარდა ამისა, უმთავრესი ამოცანაა ქვეყნის მომზადება უმთავრესი მიზნის განხორციელებისთვის – 2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე ოფიციალური განაცხადის გასაკეთებლად.

დანარჩენი უკვე ტექნიკური მხარეა და, ბუნებრივია, მეტ-ნაკლები წინააღმდეგობების მიუხედავად, ნამდვილად განხორციელებადი.

საინტერესო კი ის არის, რომ ამ პროგრამის განხორციელება არა მხოლოდ კრიზისის დაძლევა, არამედ ქვეყნის განვითარების პერსპექტივაა.

* * *

„დათა თუთაშხიაში“ არის ერთი ძალიან ყურადსაღები ეპიზოდი, როცა რაჟა სარჩიმელია რუსული ფსბ-ს წინაპრის, ჟანდარმერიის შემუშავებული გეგმითა და დავალებით ცდილობს დათა მტრულად განაწყოს ძმები ნაკაშიების წინააღმდეგ.

რაჟა აპელირებას ახდენს ძარცვაზე, რომელიც ვითომდა ნაკაშიებმა დათას მამიდის მიმართ ჩაიდინეს და ფრაზით – დათა ბატონო, მტერი გვყავს ორივეს ერთი და ერთად რომ მივადგებოდეთ, აჯობებს მგონია მე.

ზუსტად იგივე სიტუაციაა დღესაც.

რუსული ჟანდარმერიის შთამომავლის, ფსბ-ს დავალებით დღევანდელი რაჟა სარჩიმელიები, ნაცმედიის მეშვეობით აპელირებენ ხალხის სოციალურ მდგომარეობაზე და ცდილობენ გვითხრან – მტერი გვყავს ერთი და ერთად რომ მივადგეთ აჯობებსო.

ნაცები ნიკანდრო მელიას ხელში აშკარად შავრაზმული ორგანიზაცია გახდება, რომელსაც გავლენის არანაირი ბერკეტი, გარდა ე.წ. „სამოქალაქო აქტივისტებისა“ არ ექნება! ვაი, უბედურო მთავარო ოპოზიციავ!..

ამ იდიოტებს დათას სიტყვებით ვუპასუხებ – წადი, რაჟა, ბიძიკო... წადი!

და ჩემსასაც დავამატებ – წადით, თქვენი...

უამრავჯერ დამიწერია ე.წ. „გაერთიანებული ოპოზიციის“ მიერ რევოლუციისკენ სწრაფვაზე.

გამოვხმაურებივარ გვარამიასა, თუ სხვა მთხლე ლიდერების მხრიდან „ჯოჯოხეთის მოწყობის“ დაანონსებას.

საბოლოოდ კი, ყველამ ვნახეთ, რომ არაფერი გამოუვიდათ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ არასდროს არაფერი გამოუვათ!!!

არ გამოუვათ არა მხოლოდ იმიტომ, რომ არ იციან რა გააკეთონ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხი არ გაჰყვებათ, რომ არ ჰყავთ „ავრორა“, მატროსი ჟელეზნიაკი და ლატვიელ მსროლელთა პოლკი. რომ „საქართველო კიდევ ერთ არეულობას ვეღარ გადაიტანს“ (ცხადია, გარკვეულწილად, ეს არგუმენტებიც „მუშაობს“), არ გამოუვათ იმიტომ, რომ მათ არ იციან ის, თუ რა მიზეზით შეიძლება გამოიწვიონ ქართული საერთო სახალხო მღელვარება.

დღეს ნაცპროპაგანდის მანქანები მთლიანად გადასულნი არიან არსებული სოციალური ფონის რაც შეიძლება მძიმე ფორმებით წარმოჩენაზე. შედარებებზე, თუ რა დღეშია მშიერი ბავშვი და როგორ სასახლეში ცხოვრობს მავანი დეპუტატი.

საოცარი ინტენსივობით ავსებენ საინფორმაციო ველს და იმედი აქვთ, რომ მსგავსი დაძაბული ფონის შექმნით, გაზაფხულზე შეძლებენ სოციალურ აფეთქებას. ცხადია, გულში პანდემიის მიერ გამოწვეული გარკვეული კრიზისის ზამთარში გაძლიერებაც უჭიატებთ.

პირდაპირ ვიტყვი: სოციალური მიზეზით საქართველოში არავინ გამოვა!

საქართველოში არასდროს არ ყოფილა არც აჯანყება, არც სახალხო მღელვარება ცხოვრების გაუსაძლისი მდგომარეობის გამო.

საქართველოში არასდროს ყოფილა კაპიტალიზმი. ჩვენ ფეოდალური წყობიდან პირდაპირ სოციალისტურში გადმოვბარგდით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალიზმი, თავისი კლასიკური გაგებით, არც ახლაა, რადგანაც ბანკები, თუ სხვა სამევახშეო ორგანიზაციები თავიანთი საქმიანობის არსებული, „ქართული წესით“ კაპიტალიზმს ვერ განსაზღვრავენ.

კაპიტალიზმს განსაზღვრავს მუშათა კლასი, რომელიც საქართველოში თითქმის არ არის!

საქართველოში დაპირისპირების ერთადერთი მიზეზი ღირსების, ეროვნული ღირსების შელახვა იყო.

მე-19-ე საუკუნეში რუსეთული ცარიზმის დროს მოხდა გლეხთა რამდენიმე გამოსვლა, რომლებსაც კომუნისტები ცდილობდნენ სოციალური გაჭირვებით შეეფუთათ, მაგრამ რეალურად იქაც ღირსების შელახვა იყო მთავარი მიზეზი.

ღირსების შელახვაზე ხალხი გამოვა, მაგრამ ნაცები და ოპოები ამას ვერასდროს ვერ გააკეთებენ, თუნდაც იმიტომ, რომ სააკაშვილი და ვარშალომიძე, მელია და ხაზარაძე, მელაძე და გვარამია, უგუნლავა და ბოკერია, ყარტაყურტა არასამთავრობოები, ყველასთვის ცნობილი მიზეზების გამო, ვერასდროს ილაპარაკებენ ღირსების შესახებ.

ვერ ილაპარაკებენ, რადგანაც მათ ამ მაღალი სოციალური კატეგორიისა არაფერი გაეგებათ!

ამ თემების წამოწევა, რასაც თავიანთი რესურსის სრული მობილიზებით ახდენენ, ხალხში გაჭირვებული ადამიანების მიმართ თანადგომას და მათდამი მატერიალური დახმარების სურვილს გამოიწვევს და არა სოციალურ (არა სოციალისტურ!) რევოლუციას!

მრავალჯერ მითქვამს ნაცებისთვის და ახლაც გავუმეორებ – წიგნები წაიკითხეთ და იაზროვნეთ. მხოლოდ სააკაშვილის სისულელეების მოსმენა და გვარამიას ფბ პოსტები აბსოლუტურად გამოგალეწრებთ!

ამ ახალი წლის წინა დღეს ყოველგვარი ცინიზმის გარეშე მივმართავ გაერთიანებულ ოპოზიციას:

კი ბატონო, მჯერა რომ იბრძვით დემოკრატიისთვის, იბრძვით არჩევანის თავისუფლებისთვის და, რაც მთავარია – იბრძვით ხალხისთვის, საქართველოსთვის.

იბრძვით იმ ადამიანებისთვის, ვიზეც მთელი ოპომედია ტირის, გვატირებს და უსამართლობის წინააღმდეგ გვრაზმავს. ნამდვილად არ მოგიწოდებთ პარლამენტში შესვლისკენ, გასაგებია, რომ ეს ბრძოლის ერთ-ერთი ხერხია.

ჰოდა, ბოლომდე რომ დავრწმუნდე თქვენს გულწრფელობაში, არ გთხოვთ ბოიკოტის მოხსნას, უბრალოდ, ის ხელფასები რაც ამ თვეების განმავლობაში ჩაგერიცხებათ, იმ ადამიანებს მიეცით, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება.

იმ თანხით, რასაც ბიუჯეტი პარტიის განვითარებისთვის გაძლევთ, რაიონებში ოფისები გახსენით და ორი-სამი ადამიანი დაასაქმეთ.

ასე არ გააკეთებთ და „მაყუთის მოტეხას“ გააგრძელებთ? მერე მართლა თქვენს თავს დააბრალეთ ის არაკორექტული ქმედება, რაც დაგემართებათ.

* * *

რას ნიშნავს ფრაზა „ერთპარტიული პარლამენტი“?

ჯერ ერთი, რომ პარლამენტში 9 პოლიტიკური სუბიექტი შევიდა და მეორეც – მე რომ რაღაც ხუშტურების გამო ველად გავიჭრა, ჩემი ოჯახი ერთი ადამიანის შემადგენლობით დარჩება? მაშინ არ უნდა ავიღო ოჯახის ფული მიზეზით – სამსახურში მივდივარ ტაქსით. შესვენებაზე სიგარეტი, ხაჭაპური, ყავა და სამსახურის ბოლოს 200 გრ. კონიაკი აუცილებელია და საერთოდ – დავწერო განცხადება, გავაფორმო იურიდიულად და მერე „გედერსანი“ გავაკეთო.

ეგრე სადაა – „ცოცორი ტოტორში“, სული სამოთხეში და მაყუთი ჯიბეში – არა ძმაო, ეგრე არ გამოვა.

არ შედიხართ?
ნუ შედიხართ!

თქვენი პოლიტიკური ლაყაფი მაგრად არ მაინტერესებს! ჩემ მიერ ბიუჯეტში გადახდილ ფულს ხელი არ ახლოთ!

არ გამომივიდნენ „აფიორის“ მამები ეს მათხოვრები?!

პირველივე ხელფასზე გამოჩნდება, ვინ ხართ და გეუბნებით – მაგ ხელფასით ნაყიდ ტრუსიკებს თავზე დაგახევთ!!!

არ დაგიმალავთ და მელიას ნაცთავმჯდომარეობას, ანუ რეალურ რებრედინგს ასე თუ ისე მივესალმები.

მივესალმები იმიტომ, რომ როგორც ერთი ჩემი მეგობარი, საკმაოდ კარგი ანალიტიკოსი წერდა – სააკაშვილმა არჩევნები თავის პარტიაშიც წააგო!

მეორე მომენტია, რომ „ევროპულად განათლებული“ და როგორც თავის დროზე ლენინი იტყოდა „თეთრხელთათმანიანი მარქსისტების“ დრო დამთავრდა.

დამთავრდა მათი დასავლური გავლენებით ყოყოჩი, დამთავრდა „Не рыба, не мясо“-ტიპების ტივტივი და დადგა ლევანა „ხაბეიშვილეების ეპოქა“.

„ეპოქა“, რომელიც გარედან, ყოველგვარი ჩარევის გარეშე, თავად შეჭამს თავის შემოქმედს.

ეს კი ქართული პოლიტიკური სივრცისთვის შესანიშნავი მდგომარეობაა.

ნაცები ნიკანდრო მელიას ხელში აშკარად შავრაზმული ორგანიზაცია გახდება, რომელსაც გავლენის არანაირი ბერკეტი, გარდა ე.წ. „სამოქალაქო აქტივისტებისა“ არ ექნება! ვაი, უბედურო მთავარო ოპოზიციავ!..

ახალი წლის შემდეგ ჩვენ ვნახავთ ნაცმოძრაობის რიგებიდან ხალხის მასობრივ გადინებას, მაგრამ „გირჩისგან“ განსხვავებით „ხერხი 2, ანუ „ნაცები 2“ ვეღარ გაკეთდება.

ბოლო რჩევა ნაცებს – საფერფლეები მოაშორეთ კომპიუტერის მონიტორებს. მიჩა ისეთი გიჟია, შეიძლება მორიგი თათბირის დროს ხელი შემოყოს და ყველას ერთად დაგერიოთ!!!

მოკლედ რომ ვთქვა, მუხედავად ბევრი პრობლემისა, 2020 წელსაც ჰქონდა თავისი პოზიტიური მომენტები და უმთავრესი იყო ის დასასრული, რომელიც ნაცებმა და მათ აყოლილმა ჭია-ჭუა პოლიტიკანებმა ღვარძლით, ბოღმით, პოლიტიკური გაუნათლებლობით და მარაზმით, თავად გაიჩალიჩეს.

ეს კი 2021 წლის მოლოდინს დიდი იმედით ავსებს.

გილოცავთ დამდეგს, და ყველა ერთად მრავალს დავესწროთ ბედნიერ, მშვიდობიან საქართველოში!..

გია გაბრიჭიძე

2021 წელი ეკონომიკურად უმჯობესი იქნება

მთავრობა ირწმუნება, რომ გაისად აღმავლობის წელი იქნება, მაგრამ ასე არ ფიქრობენ ეკონომისტები. პირველ რიგში კი, ამის საშუალებას არ იძლევა ვირუსი, რომლის დამარცხება ჯერ ვერ ხერხდება. მხოლოდ გვირაბის ბოლოს სინათლის გამოჩენა სიტუაციას არ ცვლის იმ ფონზე, როცა ინფიცირების მასშტაბები ყველგან იზრდება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია** ადასტურებს, რომ ხელისუფლებას არაორდინარულ გარემოში უწევს მუშაობა, შრომა, მოქმედება. მიუხედავად ამისა, ქვეყნის მეთაურს სჯერა, რომ მომავალი წელი, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი, საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის აღდგენის წელი იქნება.

„გლობალური პანდემია, რეგიონში მიმდინარე მოვლენები, ეკონომიკური კრიზისი და ყველა ის პოლიტიკური გამოწვევა და დემოკრატიზაციის პროცესი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს, მაგრამ მიმდინარეობს საკმაოდ რთულად, ჩვენმა ამომრჩეველმა განსაზღვრა, რომ ყველა ამ გამოწვევას ჩვენ ერთად უნდა ვუპასუხოთ. ვერ გავაჩერებთ ქვეყანას მარტივი მიზეზის გამო – ეს არ არის მაღალფარდოვანი სიტყვები. ჩვენ ყოველდღიურად გვიწევს შრომა კონკრეტული გამოწვევების წინააღმდეგ, ეს არის სამუშაო ადგილები, სოციალურად დაუცველები, დევნილები, ჩვენი მოხუცები და პენსიონერები.

მიუხედავად ყველაფრისა, მინდა დაგარწმუნოთ, რომ 2021 წელი, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი, იქნება საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის აღდგენის წელი, იქნება წელი, როდესაც საქართველო შეძლებს იმ გლობალურ პოსტკოვიდურ ეკონომიკურ კონკურენციაში თქვას თავისი ძალზედ მნიშვნელოვანი სიტყვა, როგორც რეგიონში, ასევე – გლობალურად“, – განაცხადა გახარიამ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

პრემიერიც და მინისტრებიც ეკონომიკურ წისვლას წინასწარმეტყველებენ, მაგრამ ასე სულაც არ ფიქრობენ ეკონომისტები. მათი დიდი ნაწილი ვარაუდობს, რომ პანდემია არც 2021 წელს მოგვასვენებს, შესაბამისად საჭირო იქნება შეზღუდვები, ნაწილობრივი ლოქდაუნიც კი, რაც ეკონომიკურ აღმავლობას გამორიცხავს.

ანალიტიკოსი **ნიკა შენგელია** მიიჩნევს, რომ 2021 წელსაც საჭირო იქნება მკაცრი შეზღუდვების დაწესება და ამ რეალობიდან ჯერჯერობით ვერ გამოვალთ.

„ეკონომიკაში რთული მდგომარეობაა, უჭირს მოსახლეობას და ბიზნესსაც. დაკეტილია მცირე ობიექტები და ზოგადად ყველგან პრობლემაა. ჩემი აზრით, სრული ლოქდაუნი შეიძლებოდა იანვარში, ანუ იმ დროს, როცა ხალხი სამსახურშიც ნაკლებად დადის, ეკონომიკა ნაკლებად აქტიურია, ფაქტობრივად, იმ პერიოდში დოვლათი არ იქმნება და შეიძლება მთავრობამ ეს მომენტი სრული ჩაკეტვისთვის გამოიყენოს.

ყველა შეეგუოს, რომ ადვილი არ იქნება ეპიდემიურ მდგომარეობასთან გამკლავება, ეს სიტუაცია გაგრძელდება. სამწუხაროდ, 2021 წელსაც გვექნება ლოქდაუნები, ამ რეალობიდან ჯერჯერობით ვერ გამოვალთ“, – განუცხადა „რეპორტს“ ნიკა შენგელიამ და დასძინა, რომ წინასაახალწლო პერიოდში დაწესებული შეზღუდვები საკმაოდ მკაცრია, რაც წამგებიანია ყველასთვის. შესაძლოა, ვირუსის შეკავების მხრივაც ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდეს.

ანალიტიკოსი **მერაბ ჯანიაშვილიც** ერთ-ერთი მათგანია, ვინც მიიჩნევს, რომ მკაცრ შეზღუდვებს 2021 წელსაც უნდა ველოდოთ.

„მგონია, რომ 2021 წელს „ლოქდაუნი“ არა, მაგრამ მკაცრი შეზღუდვები სავარაუდოდ, გაგრძელდება. ამ ეტაპზე, არ არსებობს იმის მოლოდინი, რომ აუცილებლად გაზაფხულზე გამოსწორდება სიტუაცია. შესაბამისად, აბსოლუტურად გონივრულია ვთქვათ, რომ შესაძლოა, მომავალ წელს მესამე ტალღა იყოს და კიდევ გახდეს საჭირო ნაწილობრივი ლოქდაუნის აუცილებლობა. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ მკაცრი შეზღუდვების აუცილებლობის წინაშე ისევ აღმოვჩნდეთ. ასეთ პირობებში ეკონომიკის წინსვლაზე, რა თქმა უნდა, ვერ ვისაუბრებთ“, – განაცხადა ჯანიაშვილმა.

გეძა დანელია

გიორგი კაჭარავა:

უცხოელი ინვესტორები საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის ყიდვას შეძლებენ, თუმცა მათ სჭირდებათ პროგნოზირებადი გარემო“

ახლო მომავალში მთავრობა სპეციალური დადგენილების გამოცემას გეგმავს, რომელიც უცხოელი ინვესტორისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების საკითხებს განსაზღვრავს.

2019 წელს საქართველოში მიწის შესახებ ახალი კანონი ამოქმედდა, რომლის მიხედვითაც უცხოელი ინვესტორებისთვის მიწის ფლობა გარკვეულწილად შეიზღუდა. კერძოდ, უცხოელი ინვესტორი მხოლოდ მინორიტარი აქციონერი უნდა იყოს იმ კომპანიაში, რომელიც საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწას ფლობს. სწორედ ამ კანონის დახვეწაზე მუშაობს დღეს ინვესტორთა საბჭოში შექმნილი სპეციალური ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რა შემთხვევაში შეძლებენ ინვესტორები საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებას.

ცვლილების განხორციელების შემთხვევაში პრიორიტეტი მიენიჭება ისეთ საინვესტიციო შეთავაზებებს, რომელიც მსხვილი კაპიტალის მოზიდვას შეუწყობს ხელს, ასევე ის პროექტები, რომლის განხორციელების შედეგად საქართველო მცირე დროში დაუახლოვდება ევროპულ შესაძლებლობებს. დოკუმენტის პირველადი ვერსია უკვე მომზადებულია და განხილვებს სამთავრობო სტრუქტურებში გადის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის გიორგი ხანიშვილის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი შეთავაზებას მთავრობის მიმართ გააკეთებს და ახსნის, რისი გაკეთება და რა მასშტაბის ინვესტიციის განხორციელება სურს, მთავრობა ცალკე გადაწყვეტილებას მიიღებს ამ კონკრეტულ ინვესტორთან დაკავშირებით.

„აქ არის საუბარი იმპორტის ჩანაცვლებაზე, საექსპორტო პროდუქციის შექმნაზე, ევროკავშირის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, ამ ყველაფრისთვის კი ჩვენ გვჭირდება არა ათეული, არამედ ასეულობით მილიონის ინვესტიცია და სოფლის მეურნეობაში ჩადება. სამწუხაროდ, ქართულ ბიუჯეტს და ქართველ ფერმერებს ამის შესაძლებლობა არ აქვთ, ამიტომ მნიშვნელოვანია გაიხსნას კარები ისეთი ცოდნისთვის და ტექნოლოგიებისთვის, რომელიც სწრაფად მოგვცემს საშუალებას, რომ მსოფლიო წარმოების ფერხულში ჩავებათ. თუკი დღეს ჰექტარზე გვაქვს 10 ტონა ბოსტნეული და ინვესტორი შემოგვთავაზებს თუ როგორ მივიდეთ 80 ტონამდე, რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება იქნება ხელშემწყობი ასეთი ინვესტიციებისთვის“, – განმარტავს გიორგი ხანიშვილი.

ცვლილებების აუცილებლობაზე საუბრობს „კომერსანტთან“ **ევროკავშირი საქართველოს ბიზნეს საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი გიორგი კაჭარავა,** თუმცა აღნიშნავს, რომ ცვლილებებთან ერთად აუცილებელია ინვესტორებთან სწორი კომუნიკაცია. მისი თქმით, ბოლო პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც ინვესტორს კონკრეტული საინვესტიციო პროექტის განხორციელებაზე უარი ეთქვა, თუმცა მისთვის უარის თქმის მიზეზები დეტალურად არ იყო დასაბუთებული, ეს კი საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე ნეგატიურად აისახებოდა.

„ეს ცვლილება კარგია, თუმცა ნებისმიერ უცხოელ ინვესტორს სჭირდება პროგნოზირებადობა. ზუსტად ეს არის განმაპირობებელი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ინვესტორები თავს იკავებენ ინვესტიციებისგან და შემდეგ უკვე ძნელია მათი უკან მობრუნება. ქვეყანაში შემოსულ თითოეულ ინვესტორს განსაკუთრებული მოფრთხილება უნდა და ნებისმიერი მიზეზი უნდა იყოს გამოკვლეული იმასთან დაკავშირებით, ესა თუ ის ინვესტორი რატომ წავიდა საქართველოდან და მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი მსგავსი შედეგები რომ არ განმეორდეს.

ჩვენი ინტერესი უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი ინვესტორი შემოვიდეს დიდი გამოცდილებით, რაც უკეთესია ქვეყნისთვის. ყველა ინვესტორისთვის საჭიროა პროგნოზირებადი გარემო და ის მოლოდინები, თუ რა დახვდება აქ ინვესტიციების ჩადების შემთხვევაში“, – განმარტავს გიორგი კაჭარავა.

ნინო თამაზაშვილი

სამხრეთკორეელთა საჩუქარი

2020 წლის 28 დეკემბერს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა კორეის რესპუბლიკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი ჰუმანიტარული დახმარების (კოვიდპანდემიასთან ბრძოლის საქმეში 400 000 აშშ. დოლარის ოდენობის სამედიცინო და ტექნიკური აღჭურვილობა) მიღებისადმი მიძღვნილი ცერემონიალი.

ღონისძიებას უძღვებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ხვთისიაშვილი და საქართველოში კორეის რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული დაესუ ჩანგი. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ სამინისტროსა და კორეის საელჩოს დიპლომატები და საქართველოს ელჩი სეულში ოთარ ბერძენიშვილი (დისტანციურად).

ალექსანდრე ხვთისიაშვილმა, საქართველოს მთავრობის სახელით, მადლობა გადაუხადა კორეის მთავრობას პანდემიასთან ბრძოლის საქმეში საქართველოსთვის გაწეული ფინანსური და ჰუმანიტარული დახმარებისთვის, იმ მტკიცე მხარდაჭერისთვის, რომელიც, ამ რთულ პერიოდში გამოიჩინა კორეის მხარემ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს გახლდათ საგარეო საქმეთა სამინისტროს, კორეისა და საქართველოს საელჩოების მიერ შესრულებული ერთობლივი ინტენსიური მუშაობის შედეგი.

დამსწრეებს ასევე სიტყვით მიმართა კორეის რესპუბლიკის საქმეთა დროებით რწმუნებულმა, რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნა ის პროგრესი, რომელიც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში განვითარდა და გამოხატა თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მზადყოფნა.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი – დიდი ერისკაცი, მეცნიერების ბერმუხა

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი იმ ქართველ მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა და ჭეშმარიტ მამულიშვილთა კოჰორტას მიეკუთვნება, რომელთა სახელი და დიდება არასოდეს მიეცემა დავიწყებას და სამუდამოდ რჩება ქვეყნისა და ერის ისტორიაში.

„დიდი ადმიანები მხოლოდ მოდიან და სამუდამოდ რჩებიან ადამიანთა შორის“, წერდა პაატა გუგუშვილი სახელოვან მოღვაწეთა დამსახურების შეფასებისას, რომელთა შორის, არც თუ დიდი ხნის შემდეგ, თვითონ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი, როგორც გამორჩეულმა მრძენკაცმა. ოცდაათ წელზე მეტი გავიდა მისი ამქვეყნიური ცხოვრებიდან მარადისობაში გადასვლის შემდეგ, მაგრამ მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შედევრები დღესაც აქტუალური და უაღრესად ცხოვრებისეულია, რაც უდავოდ გამოსაყენებელია მრავალჭირნახული და ამჟამად არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც მისი უპირველესი საზრუნავი და საფიცარი იყო მთელი მისი ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე.

ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქს, ფართო დიაპაზონის მკვლევარს, საქართველოს ფარგლებს გარეთაც ცნობილ მოღვაწეს, ქართველი ერის ჭეშმარიტად სასიქადულო შვილს, აკადემიკოს პაატა გუგუშვილს, უბადლო ნიჭიერებასთან ერთად, უშრეტმა ენერგიამ, მეცნიერული საქმიანობის უბადლო ორგანიზატორის უნარმა, უდიდესმა ნებისყოფამ და დაუოკებელმა მიზანსწრაფვამ შეაძლებინა შეექმნა ეროვნული ეკონომიკური მეცნიერების საფუძველი, ახალ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აეყვანა ის და გამხდარიყო ქართული ეკონომიკური სამეცნიერო სკოლის შემქმნელი და მესაჭე მრავალი წლის განმავლობაში. შესაბამისად, მეცნიერის მიერ განვლილი გზის ღრმად შინაარსიან წარმოჩენას ფოლიანტებიც ვერ დაიტევს, რის გამოც შევეხებით მისი მოღვაწეობის მხოლოდ ძირითად მომენტებს.

დაიბადა 1905 წლის 28 სექტემბერს აბაშის რაიონის სოფელ კოდორში (ამჟამად კეთილარი). მისი მშობლები იმ დროისთვის საკმაოდ განათლებული ადამიანები იყვნენ: მამა – გესარიონი, წლების განმავლობაში, სოფლის არჩევითი მამასახლისი იყო და მას ზრუნვას და გარჯას არ აკლებდა. დედა – მარიამ კიზირია კი, ფაქტობრივად, მასწავლებლის ფუნქციასაც ასრულებდა. მან წერა-კითხვა შვილებს სკოლამდელ ასაკში ასწავლა და საბავშვო ლიტერატურაც შეაყვარა. 11 წლის იყო პაატა, როცა დედა გარდაიცვალა. მან კი, იქვე ერთკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1917-1923 წწ. ჯერ ფოთის ექვსკლასიანი სასწავლებელი, მერე კი ფოთის გიმნაზიაც დაასრულა. შემდეგ იყო ქუთაისის ორწლიანი საშუალო სასწავლებელი, რომელიც ერთ წელში წარმატებით დაძლია. 1923-1927 წწ. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სპეციალობის წარჩინებული სტუდენტი. 1926-1929 წწ. იქვე ისმენდა ლექციებს აგრეთვე სამართლისა და საქართველოს ისტორიასა და ქართული სამართლის ისტორიაში, ასევე მონაწილეობდა საქართველოს ეკონომიკური ისტორიისა და ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის სემინარებში, რასაც აკადემიკოსი **ივანე ჯავახიშვილი** ხელმძღვანელობდა. იმავდროულად 1922-1930 წწ., ხელმოკლეობის გამო, მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებაში მონტიორად, მოანგარიშედ, კორექტორად, ასოთამწყობად, სტატისტიკოსად, ბუღალტრად, საფინანსო განყოფილების გამგედ, რომლებსაც წარმატებით ართმევდა თავს. ამასთანავე, 1927 წლიდან მოყოლებული, ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა სტატიებს, ნარკვევებს, კრიტიკულ წერილებს ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე.

პაატა გუგუშვილის პირველი მონოგრაფია დაიბეჭდა 1929 წელს – „ქართული წიგნი 1629-1929 წწ.“, – „ეკონომიკურ-სტატისტიკური გამოკვლევა“, რომელიც დაიწერა ივ. ჯავახიშვილისა და ფ. გოგიჩაიშვილის ხელმძღვანელობით. ნაშრომი მიეძღვნა ქართული სტამბური წიგნის 300 წლისთავს. პაატა გუგუშვილის ეს პირველი მეცნიერული წარმატება და მომავალი მსოფლიო აღიარება, დიდად განაპირობა იმან, რომ მისი მასწავლებლები იყვნენ გამორჩეული მოძღვარ-მეცნიერები ნიკო ნიკოლაძე, **ივანე ჯავახიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი** და სხვები. არც თვითონ დარჩა ვალში და მალე სავსებით დამსახურებულად დაიმკვიდრა აღიარებულ მასწავლებელთა ღირსეული მოწაფისა და მათი მეცნიერული მემკვიდრეობის ერთგული გამგრძელებელ-განმავითარებლის სახელი. ეს უწინარესად გამოიხატა იმით, რომ პაატა გუგუშვილს გამოქვეყნებული დიდმნიშვნელოვანი ორიგინალური ნაშრომებისთვის, პროფესორების – ფილიპე გოგიჩაიშვილის, გრიგოლ ნათაძისა და მ. პოლიევექტოვის შუამდგომლობით, 1938 წელს საჯარო დაცვის გარეშე, ერთხმად მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო 1940 წელს პ. გუგუშვილმა, 35 წლის ასაკში ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე – **„საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია XIX ს.“**, რასაც უმაღლესი შეფასება მისცა დიდმა სამეულმა, მეცნიერების კორიფეებმა ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა და ფილიპე გოგიჩაიშვილმა. სადისერტაციო ნაშრომი საქართველოს XIX ს-ის ისტორიისათვის, დიდ შენაძენად იქნა აღიარებული. აღსანიშნავია, რომ ეს იყო საქართველოში პირველი სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებაში. მანამდის კი, 1931 წლიდან მოყოლებული, ზედიზედ გამოქვეყნდა პ.გუგუშვილის: **„სახალხო მეურნეობის ისტორია“, „ტექნიკის ისტორია“, „ეკონომიკური ფორმაციებისათვის“, „სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება“** და სხვა ნაშრომები. ასევე, მისი რედაქციით, რუსულიდან ითარგმნა და გამოიცა ოთხი დამხმარე სახელმძღვანელო ეკონომიკურ დისციპლინებში.

პაატა გუგუშვილი, როგორც მეცნიერ-მკვლევარის შემოქმედებითი პროდუქტიულობის შესაფასებლად, საკმარისია, თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ მას გამოქვეყნებული აქვს 500–მდე მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის 50 მონოგრაფია. მისი სამეცნიერო ნაშრომები ეძღვნება პოლიტეკონომიის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, სახალხო მეურნეობის ისტორიის, სტატისტიკის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების, ქართული ეკონომიკური აზრის, გეგმიანობისა და პროგნოზირების პრობლემებს. აღსანიშნავია ასევე მისი შრომები ქართული ჟურნალისტიკისა და ბიბლიოლოგიის დარგში. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მონოგრაფია – „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს.“ (I–VIIტომი, 1949-84). ადრინდელი (1933წ.) ნაშრომებიდან კი უდავოდ აღსანიშნავია სტატია – „ეკონომიური ფორმაციებისათვის“, რომელიც გამოირჩევა ჰეგელის ფილოსოფიის საკვანძო საკითხისადმი ორიგინალური, შეიძლება ითქვას, მარქსისტულ–ლენინურისაგან განსხვავებული მიდგომით, რაც ბოლო პერიოდამდე შეუმჩნეველი რჩებოდა მეცნიერთათვის და რასაც ახლახან ყურადღება მიაქცია ცნობილმა მეცნიერმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გურამ ყორანაშვილმა.

აკად. პ. გუგუშვილის მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობას სხვადასხვა დროს დადებითად გამოეხმაურნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: კ. ოსტროვიტიანოვი, ნ. დრუჟინინი, ნ. ცაგოლოვი, პ. მასლოვი, პ. პოღოლშინი, მ. ურ- ლანისი (რუსეთი), გ. ჰაინინგერი (გერმანია), ჯ. კოლაჯა (აშშ), ტ. ფიოლდი (უნგრეთი), კ. სალია (საფრანგეთი), ტ. აზატიანი (სომხეთი), ივ. ჯავახიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე, ნ. ბერძენიშვილი, შ. ნუცუბიძე, მ. პოლიევექტოვი, ვ. ჩანტლაძე, ლ. გორგილაძე, შ. მესხია, ა. სურგულაძე, ს. ჯორბენაძე, გ. ჭანყვაძე და მრავალი სხვა.

პაატა გუგუშვილი იყო არამარტო დიდი მეცნიერი, არამედ მეცნიერების დიდი ორგანიზატორი და გამორჩეული საზოგადო მოღვაწე. ამ მხრივ საკმარისია აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის პირობებში – 1944წელს, მისი ინიციატივისა და ძალისხმევის შედეგად, საქ. მეცნ.აკადემიის სისტემაში შეიქმნა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელიც 1991 წლიდან აკად. პ. გუგუშვილის სახელს ატარებს და რომელსაც დღიდან დაარსებისა – 1976 წლამდე თვითონ ედგა სათავეში. ამ ინსტიტუტის დაარსებამ საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას დიდი იმპულსი მისცა (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პაატა გუგუშვილის სახელობისაა თსუ-ის მაღლივი კორპუსის ერთ-ერთი გამორჩეული აუდიტორია).

1940-1945 წწ. აკად. პ.გუგუშვილი იყო თსუ-ის სახალხო მეურნეობის ისტორიისა და პოლიტეკონომიის კათედრის გამგე, 1930-67 წწ. თსუ-ში კითხულობდა სახალხო მეურნეობის ისტორიისა და პოლიტეკონომიის, ხოლო 1968-86 წწ. – სოციოლოგიის კურსს. მისი ლექციები იმდენად შთამბეჭდავი და საინტერესო იყო, რომ აუდიტორია ხშირად მსურველებს ვერ იტევდა.

პროფ. პაატა გუგუშვილი იყო პირველი მეცნიერ-ეკონომისტი, რომელიც 1960 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს, ხოლო 1974 წლიდან კი – იმავე აკადემიის აკადემიკოსად.

პ. გუგუშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ეკონომისტთა ეროვნული კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცულია 100-ზე მეტი სადოქტორო თუ საკანდიდატო დისერტაცია. იგი, 1958 წლიდან, 15 წელი რედაქტორობდა ჟურნალს – „საქართველოს ეკონომისტი“, ასევე აქტიურად თანამშრომლობდა საქ. მეცნ. აკადემიის ჟურნალში – „მაცნე“, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი და ეკონომიკური პროფილის განყოფილების ხელმძღვანელი. ამასთან, 1946-1972 წწ. გამოვიდა ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების 15 ტომი და სამეცნიერო შრომების კრებული „ეკონომიკა“ – 7 ტომი. თითქმის ყველა მათგანის მთავარი რედაქტორი და ძირითადი თანაავტორი პ.გუგუშვილი იყო.

უდავოდ დიდია აკად. პ. გუგუშვილის დამსახურება ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში. 1947 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტების გრიფით, გამოვიდა „ეკონომიკის ტერმინოლოგია“ (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული), შედგენილი პ. გუგუშვილის ინიციატივით ორგანიზებული ხანგრძლივი და მწვავე დისკუსიის შედეგების შეჯამებისა და მის მიერვე შემუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე. ამ ნაშრომმა ფუძემდებლური როლი შეასრულა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

პ.გუგუშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1951 წლის ნოემბრის ცნობილ დისკუსიაში (ქ. მოსკოვი), რომელიც პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს მაკეტის განხილვას მიეძღვნა. მისი სერიოზული შენიშვნები და კონკრეტული წინადადებები სახელმძღვანელოს საბოლოო ტექსტში აისახა. ამ სახელმძღვანელოს ქართული თარგმანი 1954 წელს გამოიცა პ.გუგუშვილისა და ი.ბაჯაძის რედაქციით.

პ. გუგუშვილი 1959 წელს არჩეულ იქნა საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდიუმის წევრად და იმავე წელს, სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესის მუშაობაში, პირველად მიიღო მონაწილეობა ხუთი მეცნიერისგან შემდგარმა დელეგაციამ. პ. გუგუშვილი, როგორც დელეგაციის წევრი, მსოფლიო მეოთხე კონგრესზე იტალიაში (მილანი-სტრეზა) წარსდგა მოხსენებით – „მრეწველობის ფორმათა სოციოლოგიური კლასიფიკაციის შესახებ“. მოხსენება იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ის იქვე აირჩიეს მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის წევრად. ამ დროიდან მოყოლებული იგი სისტემატურად მონაწილეობდა ეკონომისტთა და სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესების, სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მუშაობაში. მონაწილეობა დიდ მოწონებას იმსახურებდა მისი მოხსენებები, რომლებიც გამოქვეყნებულია გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და სხვა ენებზე. აღსანიშნავია, რომ 1964 წელს, განთქმული იტალიელი მეცნიერის ფრანჩესკო ვენტურისადმი მიწერილ ღია წერილში, რაც რუსულ და იტალიურ ენებზე გამოქვეყნდა, აკადემიკოსმა ნ.დრუჟინინმა ეკონომიკურ ურთიერთობათა პრობლემებზე საბჭოთა მეცნიერების ფუძემდებლური ნაშრომების ავტორებად დაასახელა მხოლოდ სამი დიდი მეცნიერი – ს.სტრუმილინი, პ.ლიაშჩენკო და პ.გუგუშვილი.

1976 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის განყოფილების გამგე და მისივე ინიციატივით შექმნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ხალხთმოსახლეობის (დემოგრაფიის) სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო, სადაც იგი ფრიად სასარგებლო ეროვნულ საქმეებს აგვარებდა.

აკად. პაატა გუგუშვილი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, „საპატო ნიშნის“ ორდენებითა და სხვადასხვა მედლით. მისი სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის (დირექტორი თამაზ აბესაძე) ინიციატივით, თსუ-ში დაწესებულია პაატა გუგუშვილის სამეცნიერო პრემია, 2020 წლიდან კი – „პაატა გუგუშვილის მედალი“, რაც ყოველწლიურად გადაეცემა საქართველოს დამსახურებულ მოღვაწეებს (უწინარესად მეცნიერების სფეროში). მომზადდა და გამოიცა პ. გუგუშვილის დღიურები და მოგონებები, ასევე იუბილარისადმი მიძღვნილი კრებულები.

აკად. პაატა გუგუშვილის მეცნიერული შემოქმედება წარმოჩინდება, როგორც გამორჩეული სწავლულ-ეკონომისტი, ისტორიკოსი, სოციოლოგი, დემოგრაფი, ფილოსოფოსი, ჟურნალისტი, ლექსიკოლოგი, ბიბლიოფილი, პოლიგრაფისტი, არქეოგრაფი...

სამწუხაროდ, აკად. პ.გუგუშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა ია-ვარდებით არ ყოფილა მოფენილი. მას წლების განმავლობაში დაუნდობლად, აშკარად თუ შენიღბული მეთოდებით, ებრძოდა ზემდგომ პარტიულ ელიტასთან საეჭვოდ შეკრული, შურიან მეცნიერთა და ვაიმეცნიერთა გარკვეული ჯგუფი, რომელთაც ძილს უფრთხობდა მისი შთამბეჭდავი წარმატებები თუ მიღწევები მეცნიერებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მას არაერთი ტკივილი მიაყენეს, მაგრამ მან ყველაფერს გაუძლო და შთამომავლობას დაუტოვა საერთაშორისო დონის მეცნიერული გამოკვლევები. ჰყავდა დიდებული მეუღლე, ქ-ნი ნინო მიქაბერიძე, მაღალინტელექტუალური ფასეულობების მატარებელი შვილები, რომელთაგან უფროსი – პროფესორი ბესარიონ გუგუშვილი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დროს პრემიერ-მინისტრის თანამდებობას იკავებდა. 1993 წლიდან კი, როგორც დევნილი, ფინეთში წარმატებულ საქმიანობას ეწევა. სამწუხაროა, რომ სამშობლოში მის და მისი ოჯახის დაბრუნებაზე არავინ ფიქრობს. უმცროსი ვაჟი გულბაათი, ფინანსური სფეროს წარმატებული მუშაკი და მეცნიერი, 1989 წლის ტრაგიკული 9 აპრილის ღამეს გამოყენებული გამოუცნობი გაზით მოწამვლის მსხვერპლი გახდა.

აკად. პაატა გუგუშვილის „უძლეველობა“ და დიდი წარმატებები ყველა ფრონტზე იმანაც განაპირობა, რომ იგი იყო ჭეშმარიტად სახალხო პიროვნება, რომელსაც მჭიდრო, საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ქართული ელიტის ისეთ გამოჩენილ მეცნიერებთან, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ს. ჯანაშია, სიმონ ყაუხჩიშვილი, ნიკო მუსხელიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პეტრე შარია, ილია ვეკუა, გ. ახვლედიანი, ევგენი ხარაძე, სერგი დანელია, ალექსანდრე ფრანგიშვილი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ანდრია აფაქიძე, ვიქტორ კუპრაძე, ნიკო კეცხოველი, ირაკლი აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, შოთა მესხია, როინ მეტრეველი, სერგი დურმიშიძე, ვასილ ჩანტლაძე, ნ. იაშვილი, მიხეილ კახეთელიძე და ბევრი სხვა.

და, რაც მთავარია, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პაატა გუგუშვილი სიცოცხლის ბოლომდე ბერმუხასავით იდგა მეცნიერების მოწინავე პოზიციებზე და ახალგაზრდული ენერგიით, სიღრმისეული ანალიზით და ჩვეული შემართებით განაგრძობდა თავის საყვარელ საქმეს – მეცნიერულ-პედაგოგიურ თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ანუ რასაც ჰქვია ერისა და ქვეყნის უანგარო და თავდადებული სამსახური. ამიტომაც დაიმკვიდრა მან ქართველი ერის ისტორიაში მარად წარუშლელი და ფრიად საპატიო ადგილი.

რევაზ გოგოხია,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ძლიერი და ჯანმრთელი ბავშვების გაჩენისთვის იდეალური დრო დგება!

2021 წლის ჰოროსკოპი ზოდიაქოს ნიშნებისთვის

თუ 2020 წლის მფარველი ვირთხა გულუხვად აჯილდოებდა თავის ფავორიტებს – ავანტიურული სულის მქონე, გამბედავ ადამიანებს, თეთრი ლითონის ხართან ასეთი რამ არ გავა. 2021 წლის მასპინძელს არ უყვარს ფუჭი ლაყბობა და უზომოდ აფასებს შრომისმოყვარეობას. მაგრამ აქაც არის „მაგრამ“ – თავისი კონსერვატიულობიდან გამომდინარე, ხარი მხოლოდ იმ ნიშნებს დაეხმარება, რომლებსაც გამოცდილი და სწორი გზები უყვართ.

მთლიანობაში, თუ გსურთ, რომ ნებისმიერი საქმის შედეგები, იქნება ეს ბიზნესი, ქორწინება, მშენებლობა თუ სხვა, დიდხანს გაგრძელდეს, მაშინ ამისთვის 2021 წელი იდეალურია. ხარი ყველანაირად შეუწყობს ხელს იმას, რაც მრავალ წელზეა გათვლილი.

ტიბეტური ჰოროსკოპი და ცხრილი – რომელი ცხოველია თქვენი მფარველი დაბადების წლის მიხედვით!

ზოგადად, ყველა ნაბიჯი, რომელშიც არის რამე აზრი, განკუთვნილია დიდი მიზნისთვის და წლის სიმბოლოს მხარდაჭერას მოიპოვებს. ხარი დასაყრდენი ძალა იქნება მათთვისაც, ვინც საქმეს ხელებით აკეთებს – მნიშვნელობა არა აქვს, მიწაზე მუშაობთ, ბინას არემონტებთ თუ რას საქმიანობთ, მაგრამ ამ წელს ფული თქვენ ჯიბეში იოლად მოვა.

* * *

ოქროს ან წითელი ხარისგან განსხვავებით, თეთრ ლითონის ხარს გარკვეული სენტიმენტობა და გრძნობების გამოხატვის ღია მანერა ახასიათებს, ამიტომ მას ესმის ადამიანური სისუსტეები და მის მიმართ შემწყნარებელია, მაგრამ – მხოლოდ ერთი სისუსტის მიმართ და ისიც – ყოველთვის არა. არ დაივიწყოთ, რომ ამ ნიშანს ნაკლებად კონტროლირებადი მრისხანება ახასიათებს და კარგი იქნება, თუ ეს მხოლოდ თეორიულად გეცოდინებათ და არა პრაქტიკაში.

წლის სიმბოლოს კონსერვატიულობიდან გამომდინარე, 2021 წელს დიდი სიმდიდრის იმედი ზოდიაქოს არც ერთ ნიშანს არ უნდა ჰქონდეს. ხარი – ეს მუდმივობის სიმბოლოა, მის წელიწადს ნელნელა უნდა შეაგროვოთ თანხა, ამიტომ გააკეთეთ საქმე და მიჰყევით დინებას.

ურთიერთობები აღმოსავლური სასიყვარულო ჰოროსკოპის მიხედვით!

ამასთან, ხარის წელიწადში ძალზე ძლიერი, ჯანმრთელი და სულიერად მტკიცე ბავშვები იბადებიან. თუ ბავშვის გაჩენას აპირებთ, ამისთვის 2021 წელი იდეალურია.

ხარის წელიწადი – ეს არაა სწრაფი სვლა კარიერაში, არამედ ესაა მტკიცე ნაბიჯები მიუხედავად სიზარმაცის, დაღლილობისა და სურვილის უქონლობისა. სამაგიეროდ, შრომისმოყვარეობისთვის ხარი ყოველთვის გულუხვად დაგაჯილდოებთ.

რა ელოდებათ ზოდიაქოს ნიშნების წარმომადგენლებს 2021 წელს:

ვერძი

ხარის წელიწადი ყოველ 12 წელიწადში ერთხელ მეორდება იმისთვის, რომ ვერძს მოთმინება ასწავლოს, მაგრამ ვერძებს ტყუილად კი არ გაქვთ ყველაზე ჯიუტი ნიშნის იარლიყი „მოწებებული“. აქედან გამომდინარე, თქვენ ბოლო ძალამდე შეეწინააღმდეგებით ხარს. მაგრამ გარკვეულ მომენტში, როცა ცოტა დამშვიდდებით, დაინახავთ, რომ ის, რასაც ადრე დაჟინებული ბრძოლით აღწევდით, ახლა თავისით ჩაგივარდათ ხელში. უბრალოდ, ხარს მომთმენი და შრომისმოყვარე ადამიანები უყვარს და თუ შეძლებთ საკუთარი იმპულსურობის გადალახვას, 2021 წლის ბოლოს აუცილებლად იტყვით: „ეს შესანიშნავი წელი იყო“.

როგორი დასვენება უყვართ ზოდიაქოს ნიშნებს?!

კურო

როგორ ფიქრობთ, გამონახავენ საერთო ენას ხარი და კურო, თუ ისინი ტყუპი ძმებივით არიან? რა თქმა უნდა. კუროებისთვის 2021 წელი იქნება, როგორც მოგება ლატარიაში. თქვენი საზრიანობა და გამჭრიახობა წლის სიმბოლოს მხრიდან ყველანაირად იქნება მხარდაჭერილი, რაც კარგ სულიერ და მატერიალურ დივიდენდებს მოგიტანთ. გარდა ამისა, ამ წელს კუროებს გელოდებათ ნაცნობობა, რომელიც თქვენს ცხოვრებას შეცვლის და შესაძლოა, ძირფესვიანადაც კი. ამისთვის ირგვლივ მყოფებისთვის მაქსიმალურად გახსნილი უნდა იყოთ.

ტყუპი

ბუნებრივი მომხიბვლელობა და როგორც ტყუპებს უწოდებენ – „კომუნიკაციის მეფის“ უნარები 2021 წელს ნაკლებად დაგეხმარებათ. შეეგუეთ ამას. საკუთარი მიზნების მისაღწევად და თანხის გამომუშავებისთვის ბევრი შრომა მოგიწევთ. გარემოებები გაიძულებთ, გადახედოთ ხარჯებს ცხოვრებაზე და ის უფრო რაციონალური გახადოთ. ამასთან, შესაძლოა, რაღაც ახალიც ისწავლოთ. სამაგიეროდ, პირად სფეროში ყველაფერი წესრიგში იქნება – ესაა სულიერი სიმშვიდე, რაც ბედნიერებას მოგიტანთ და ყველა სხვა პრობლემის გადაჭრაში დაგეხმარებათ.

სად იმალება ზოდიაქოს თითოეული ნიშნის ბედნიერების საიდუმლო?!

კირჩხიბი

კირჩხიბი რისი კირჩხიბია, თუ მუდმივად ყველაფერზე არ იღელვებს და ინერვიულებს. 2021 წელი კი დაგეხმარებათ, რომ ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭოთ ირგვლივ წვრილმანებს და ყურადღება მხოლოდ ნამდვილად მნიშვნელოვანზე გაამახვილოთ. წარმოიდგინეთ, რაოდენი წამებაა ეს იმპულსური კირჩხიბისთვის? გარდა ამისა, მოსალოდნელია იმედგაცრუება სიყვარულში, მაგრამ ეს უნდა მოხდეს, რომ თქვენს ცხოვრებაში მოვიდეს ის, ნამდვილად თქვენი. ასე რომ, არ ინერვიულოთ, მიჰყევით ცხოვრებას – სამყარო თვითონ გადაწყვეტს ყველაფერს.

ლომი

ხარს ავანტიურული მოქმედებები არ უყვარს, მაგრამ ის ზოდიაქოს მხოლოდ ერთ ნიშანს – ლომს არ დასჯის ამისთვის, ანუ არ შეგიქმნით დაბრკოლებებს, როდესაც გარკვეულ სიტუაციაში ვაბანკზე წასვლას გადაწყვეტთ. საქმე ისაა, რომ 2021 წელს თქვენი ბიზნესთან დაკავშირებული საქმეები „ბუქსაობას“ დაიწყებს და ახალ დონეზე გასვლაში მხოლოდ სითამამე, გაბედულება, შემტევი ხასიათი და უდიდესი ძალისხმევა დაგჭირდებათ. ზოგადად კი ლომებს დიდი გზა დაგჭირდებათ იმისთვის, რომ შეეგუოთ – ცხოვრება მუდმივი დღესასწაული არ არის, არამედ ასევე „ნაცრიდფერი დღეების“ მონაცვლეობაც.

ზოდიაქოს ნიშნები, რომლითაც ამ სამყაროში ცვლილებები და სიბრძნე შემოაქვთ!

ძალღონული

ქალწულებმა ბევრი რამ მოასწარით გასულ ასტროლოგიურ ციკლში და რა თქმა უნდა, 2020 წელსაც... ასე რომ, ხარის წელიწადი თქვენთვის გასულის გაანალიზებისა და ახალი ცოდნის მიღების დრო იქნება. ჰოროსკოპი ძლიერ რყევებს ან კაშკაშა მოვლენებს არ გპირდებათ. გამონაკლისი მხოლოდ შემოქმედებით საქმიანობაში ჩართული ქალწულები იქნებით, რომელთათვის ხარის წელი აღიარებისა და ცინცხალი იდეების გაჩენის დრო შეიძლება გახდეს. ან, იქნებ, სწორედ ამ წელს მოინდომოთ შვილის ყოლა და მთელი ენერგიის მის გაზრდა–აღზრდაში ჩადება? ვარსკვლავები ამას ხელს შეუწყობენ.

სასწორი

ხარის წელიწადს სასწორებმა შრომისა და ტკბობის შერწყმა უნდა ისწავლოთ, ანუ ერთდროულად სიამოვნებითა და კმაყოფილებით დააკვირდეთ ცხოვრებას და ამავე დროს, საჭირო მომენტში სამუშაო „გმირობისთვის“ რესურსები იპოვოთ. 2021 წელს ერთი–ორჯერ დადგება მომენტი, როდესაც საჭირო გახდება თავის საუკეთესო მხრიდან წარმოჩენა. და თუ ამას გააკეთებთ, შრომისა და ტკბობის შერწყმით მიღებული დივიდენდების ეფექტი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. და კიდევ – დიდი წარმატებები გელოდებათ სიყვარულში.

ზოდიაქოს ნიშნები, რომლებსაც სამყაროში ჰარმონია და წონასწორობა შემოაქვს!

მორიელი

ხარის ენერგია, რომელიც მორიელების ფაქიზ ინტუიციას მოერგება, ძალიან კარგ შედეგს მოიტანს როგორც ფინანსურ სფეროში, ისე პირად ურთიერთობებში, რომელიც 2020 წელს გარკვეულწილად შერყეული იყო. ასევე ეს წელიწადი, თქვენთვის მოულოდნელად, მრავალი მოგზაურობის დრო გახდება, რაც დაკავშირებული იქნება როგორც სამუშაოსთან, ისე დასვენებასთან. ეს კარგად დამუხტავს თქვენს შინაგან ენერგიას და წლის ბოლოს იოლად გაუმკლავდებით ზამთრის დადგომის გამო დამდგარად „პირქუშ“ განწყობას.

მშვილდოსანი

მშვილდოსნები 2021 წელს მოულოდნელად გააცნობიერებთ, რომ თქვენი ბედნიერების საფუძველი – ეს ოჯახია და თუ მანამდე ეს თქვენთვის სამუშაოსა და უამრავი საქმის მერე მეორე პლანზე იდგა, ახლა ოჯახს ბევრ დროს დაუთმობთ, იზრუნებთ ოჯახური სითბოს შენარჩუნებაზე, პარტნიორთან ურთიერთობებზე და არ დაგენანებათ დახარჯული დრო ბავშვების აღზრდაზე. ამასთან, შესანიშნავად წავა თქვენი საქმეები, რადგან საქმიანი პროცესებიდან ზედმეტი ქაოსი და ორომტრიალი აღარ იქნება. შეძლებთ ჯერ დღის წესრიგის, შემდეგ კი ცხოვრების აწყობას ისე, რომ ყველაფრის გაკეთებას მოასწრებთ. ერთადერთი, რაშიც ფრთხილად უნდა იყოთ, ეს საქმიანი პარტნიორების მიმართ უსაზღვრო ნდობაა.

ზოდიაქოს ნიშნები, რომელთაც ამ სამყაროში შემოქმედება და განვითარება მოაქვს!

თხის რძა

2021 წელი თხის რქებმა სახლის ნეგატიური ენერგიისგან გაწმენდით უნდა დაიწყოთ. ამის გაკეთება შეიძლება საფუძვლიანი დასუფთავებით, მაგრამ აჯობებს, თუ ამასთან ერთად, გადაყრით ძველ და უსარგებლო ნივთებს. მთლიანობაში, ძალზე ხელსაყრელი წელი გელოდებათ, განსაკუთრებით, თუ წარსულს არ ჩაეჭიდებით და ჯანმრთელობაზე იზრუნებთ.

არ ღირს წარსული შეცდომების გამო თავის დასჯა, ამ შეცდომების გაანალიზება. გარშემო მყოფების კრიტიკას ოპტიმიზმით შეხედეთ, ან სულაც, ყურადღებას ნუ მიაქცევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს თქვენს ნერვებს სრულად გამოფიტავს. წლის მეორე ნახევარში სასიამოვნო სიურპრიზები გელოდებათ.

მერწყული

წლის დასაწყისში ყველაფრის შეცვლის სურვილი გაგიჩნდებათ: ყოფაში, პირად ცხოვრებაში, შესაძლოა, პროფესიის შეცვლაც კი მოინდომოთ. და მაინც, მიუხედავად მტკიცე გადაწყვეტილებისა, სჯობს, გაზაფხულის ბოლომდე თავი შეიკავოთ ცვლილებებისგან. ჯერ ერთი, წლის მფარველ ხარს აჩქარება არ უყვარს, მეორეც – მაისში პლანეტები და ვარსკვლავები საუკეთესო პოზიციაში განლაგდებიან და მიზნების მისაღწევად დიდი ძალისხმევა არ დაგჭირდებათ.

ზოდიაქოს რომელი ნიშნების წყვილებს აქვთ გამძიდრების ყველაზე დიდი შანსი?!

თევზები

თქვენთვის 2020 წელი არცთუ მარტივი იყო, მაგრამ ბევრი დადებითიც მოიტანა: შეიძინეთ სიბრძნე, მიიღეთ გამოცდილება, შესაძლოა, გარკვეული თანხის დაგროვებაც შეძელით. და თუ ამის შენარჩუნებას 2021 წელსაც მოახერხებთ, ეს ძალიან კარგი იქნება. უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს შეძენილი გარკვეული სიმშვიდე დიდ მხარდაჭერას მოიპოვებს ხარისგან. 2021-ში გელოდებათ მოგზაურობები, ახალი ნაცნობობა და უბრალოდ, ბედნიერების მომენტები, რომლებიც თქვენ გულში სამუდამოდ დაიკავებს ადგილს.

ჩვენს ჭერქვეშ ბედნიერებამ რომ დაისადგუროს!..

მომავალი 2021 წელი, აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, არის თეთრი ხარის წელი. ჩვენ გეტყვით, თუ როგორ უნდა დაამშვენოთ სახლი, რა უნდა მოამზადოთ და ჩაიცვათ ახალი წლისთვის. გასულმა წელმა შფოთვა მოგვიტანა, ახალი წლის დადგომას, რომლის სიმბოლოც ხარია, დიდი იმედებით ველოდებით. ვიმედოვნებთ, რომ ხარი ჯანმრთელობას მოგვიტანს და დაგვეხმარება ყველა სირთულის გადალახვაში.

როგორ მოვრთოთ სახლი?

რეკომენდებულია რომ ახალ წელს შეხვდეთ ოჯახთან ერთად, რადგან ხარი შინაური ცხოველია. მას არ უყვარს არეულობა, გაფუჭებული ნივთები ან ზედმეტი წვრილმანები, ამიტომ, სახლში წესრიგი უნდა იყოს. მოიშორეთ ზედმეტი ნივთები, მაგალითად: ქაღალდები, ძველი ჟურნალები და გაბზარული ნივთები. გაგიკვირდებათ, იმდენად სუფთა იქნება სახლი.

დეკორაციისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ თეთრი და ვერცხლისფერი აქსესუარები, უმჯობესია, თავი აარიდოთ წითელ ფერს. ხომ იცით, როგორ რეაგირებს ხარი წითელზე? მას აგრესიულად აქცევს, ჩვენ კი უნდა დავამშვიდოთ. კარგი იქნება ცოცხალი ნაძვის ელემენტების შეტანა სახლში – ხარს ბუნების სურნელი მოეწონება.

როგორ გავაწყოთ სუფრა?

საახალწლო სუფრის გაშლისას გამოიყენეთ უფრო ბუნებრივი მასალები – ბამბისა და თეთრეულისგან დამზადებული სუფრები და ხელსახოცები, ხის თასები და ვაზები ხილისთვის, ლამაზი კერძები, მეტალის დანა–ჩანგალი, სასანთლეები. ასევე, შეგიძლიათ დაამშვენოთ მაგიდა ყვავილების კომპოზიციებით.

რა მოვამზადოთ ახალი წლისთვის?

საახალწლო სუფრა უნდა იყოს გულუხვი და მდიდრული, უამრავი მარტივი და რთული კერძებით გაწყობილი. გააკეთეთ ღვეზელები, ლორი, ცხვრის ხორცი ან ღუმელში შემწვარი კურდღელი. შებრწყული იხვი, ბატი ან ქათამი. განათავსეთ მეტი ახალი მწვანილი მაგიდაზე – რეჰანი, ხახვი, გააკეთეთ მწვანე სალათები, გამოაცხვეთ პური. სასურველია, ყველაფერი იყოს სახლში მომზადებული, ასევე ძალიან კარგია კონსერვების გამოყენებაც. ფრთხილად იყავით ძროხის ხორცთან, ხარს შეიძლება არ მოეწონოს ასეთი კერძები.

საახალწლო მასპინძლის ნდობის მოსაპოვებლად ერთი მარტივი გზა არსებობს – შვრიის ან ხორბლით სავსე თასის დადება მაგიდაზე, შეგიძლიათ მორთოთ ნაძვის ახალი ტოტებით, მას მეტი არ სჭირდება!

რა ჩავიცვათ?

მსუბუქი ქსოვილებისგან დამზადებული ტანისამოსი, მეტალის ბზინვარებით იქნება შესანიშნავი არჩევანი ახალი წლის ღამეს.

უფრო მეტიც, ტანისამოსი არ არის აუცილებელი, რომ იყოს ახალი – მთავარია, რაც შეიძლება კომფორტულად გრძნობდეთ თავს. ხავერდოვანი კაბა და აბრეშუმის პიჟამა შესაფერისია. შეარჩიეთ ბუნებრივი მასალებისგან დამზადებული აქსესუარები, მაგალითად, მატყლის წინდები. რაც შეეხება მაკიაჟს – უნდა იყოს მსუბუქი და არანაირი წითელი კაბა... დაიმახსოვრეთ, ხარს წითელი ფერი აღიზიანებს!

საიმონ ვულფი: ქართულ ღვინოში ღაღად იგრძნობა მიწის სურნელი!

2020 წელს საუკეთესოდ შეფასებულ ხუთ ღვინოს შორის გამორჩეული ადგილი „ბიომარნის“ საფერავმა დაიკავა

The Morning Claret-ის დამფუძნებელმა და რედაქტორმა, ბესთ-სელერის „ქარვისფერი რევოლუცია“ (Amber Revolution) ავტორმა საიმონ ვულფმა, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ღვინის ერთ-ერთ საუკეთესო შემფასებლად ითვლება, 2020 წლის შემაჯამებელ სტატიაში მკითხველს ხუთი ღვინო გააცნო, საიდანაც ერთი ქართული ღვინო – 2016 წელს წარმოებული საფერავია.

საიმონ ვულფი განმარტავს, რომ ოჯახური ტიპის მეღვინეობის „ბიომარანი“-ის საფერავი „ნამდვილი ვარსკვლავი“ და სრულიად განსაკუთრებულია. რაც შეეხება თავად სახელს – „ბიომარანი“, ავტორი წერს, რომ ეს შთაგონებას იწვევს, რადგანაც ტექნიკური აღწერის თანახმად, მათ მიერ წარმოებული ღვინო „ორგანულზე გადასვლის“ ეტაპს გადის, რაც, მისივე შეფასებით, ძალიან კარგი დასაწყისია.

„ბიომარანმა“ ჭეშმარიტად გამაოგნებელი ღვინო მიიღო, რომელიც მაგონებს უდიდეს ლუარის კაბერნე ფრანკს (Loire Cab Franc)“ – წერს ვულფი. მისივე შეფასებით ამ ღვინოში სწორადაა შენარჩუნებული საფერავის წითელი კენკროვანი გემო, ისევე როგორც მისი მწკლარტე, მაგრამ დახვეწილი ტანინი და აქვე დასძენს, რომ „ლაღად იგრძნობა შეთამაშებული მიწის სურნელი, რასაც ისევ **Cab Franc**-მდე მივყავარ. ეს კი აღფრთოვანებას გვმატებს! ეს საფერავი ნადვილი vin de soif-ია, ტიპიურობითა და ენერგიით დატვირთული. და როგორც ყველა კარგი ქვევრის ღვინის შემთხვევაში, აქ ვერ ნახავთ ვერც ჭარბ ჟანგბადიანობასა და ვერც მუხის კასრის ზედმეტ გემოებს, რაც ამ ღვინოს განსაკუთრებით სახალისოს ხდის“. ამასთან, ღვინის გამორჩეული შემფასებელი „ბიომარანს“ მადლობას უხდის, რომ ეს 2016 წლის ღვინო ახლა გამოუშვა და არა მის ადრეულ ეტაპზე, რადგან მისივე აზრით, ეს ღვინო ბევრად კარგია, როდესაც ის რამდენიმე წლიანი დაძველებითაა.

საიმონ ვულფი ბევრს საუბრობს „ბიომარანის“ ღვინოზე და სტატიას იმ იმედით ასრულებს, რომ „თუ ქისი და ხიხვიც ასეთივე კარგია, მხოლოდ ამისთვის ღირს, მოუთმენლად დაველოდოთ 2021 წელს“. გარდა ქართული ღვინისა, საიმონ ვულფის წლის შეფასება ესპანურმა, ფრანგულმა, სლოვაკურმა და იტალიურმა ღვინოებმა დაიმსახურეს.

ფულისა და იღბლის მოზიდვის ოქროს წესები ხარის წელიწადში

ორ დღეში ახალი, 2021, ანუ თეთრი მეტალის ხარის წელიწადი დადგება. ახალი წლის დადგომამდე დიდი ინტერესით ისმება კითხვა – „როგორ მოვიზიდოთ ფული და იღბალი?“

ასტროლოგები როგორც გვეუბნებიან, შეუპოვარი ხარი შრომისმოყვარე ადამიანებს განსაკუთრებული წყალობით გადახედავს. ასევე ვარსკვლავები გვაფრთხილებენ, რომ თავი უნდა მოვარიდოთ ახალი საქმეების დაწყებას და ძველი საქმეების დასრულებითა და განვითარებით დავკავდეთ, რაშიც დიდ შრომას ჩავდებთ, დაფასებული იქნება თეთრი მეტალის ხარის მიერ.

პირველი გაფრთხილება – ახალი წლის შემოსვლის წინა დღეს რაც შეიძლება ნაკლები იფუსფუსეთ. სჯობს, საკვები წინასწარ მოამზადოთ და 31 დეკემბერს ნაკლებად დაკავებულმა გაატაროთ დრო. როგორც ცნობილია, ხარს რუტინა არ უყვარს!

ასევე იყავით გულწრფელი და გახსნილი ახლობლების მიმართ, ამით ხარის კეთილგანწყობას აუცილებლად დაიმსახურებთ.

ფულისა და წარმატების მოსაზიდად:

დაალაგეთ სახლი, მოაცილეთ მტვერი, ლაქები და უსუფთაობა. გადაყარეთ ძველი და დაზიანებული ნივთები, სამოსი თუ ჭურჭელი. ამ ქმედებთ თავიდან აირიდებთ უბედურებას და სიღარიბეს.

შუაღამეს გახსენით შამპანური, ჭიქაში კი იღბლიანი მონეტა ჩააგდეთ. სასმელის დალევის შემდეგ, მონეტა ამოიღეთ და საფულეში შეინახეთ. ამ გზით წლის განმავლობაში ფულის მოზიდვას შეძლებთ. და ყველაზე მთავარი, არ შეხვდეთ ახალ წელს ვალებით და შეუსრულებელი დაპირებებით...



გიორგი ლეონიძე:

ქართველო ერო, იყავ ღონეძლიერი, ლაღი, ბედნიერი. კერა, ოჯახი და სამშობლო გიბედნიეროს! თაფლის სიტკბოთი შეგერგოს ახალი წელი!

ჩემო მშობელო ქართველო ხალხო! შენი მეკვლე ვარ, შემოვდგი ფეხი! გილოცავ ახალ წელს. სავსე ხონჩით და სავსე ჯამით ვსვამ შენი ახალი გამარჯვების სადღეგრძელოს. გილოცავ შენი შემოქმედებითი შრომის საქვეყნოდ აღიარებას, შენი სახელის გარეთ გასვლას, ახალი ნაბიჯის შედგმას მომავალში და გისურვებ, მომავალ წელშიც სახელისათვის კიდევ მიგემატებინოს ახალი სახელი.

ჩემო ტკბილო სამშობლოვ: ქართლო, კახეთო, იმერეთო, გურიავ, აფხაზეთო, სამეგრელოვ, აჭარავ, რაჭავ, სვანეთო, ლეჩხუმო, ხევო, ფშავ-ხევსურეთო, თუშეთო, მოგილოცავ ახალ წელს, ახალ დიდებას, ახალ სიცოცხლეს, მაჯის სიმაგრეს, სულის სიმტკიცეს. გიმრავლოს აკვნის ფიცრები, გიცოცხლოს სამარგალიტო ყმაწვილები, გიცოცხლოს დანუკრებული, თვალგიშერა, იისთვალება ქალიშვილები, ნარჩევი ლამაზები, თვალცეცხლი, ტალიკი ბიჭები, გიმრავლოს და გიბედნიეროს. გიცოცხლოს ფუძე და კერა, ადგილის დედა, ტკბილ-ქართული დედაენა. სულ ვარდი ეყაროს საქართველოს, სულ ღადღადებდნენ ჩარხები, ჩაქუჩები, მანქანები. სულ ჩქეფდნენ ახალი რუსხმულები, სულ ახალი ხნულები გაგეჭიმოს, სულ ახალი ფესვები ჩაებას მშობლიურ მიწას, სულ ფოლადიანობდეს შენი მარჯვენა, სულ ელვარებდეს შენი სადროშე ფარჩა!

გიცოცხლოს ვაზის დედა, ყანის მზეკაბანი. სულ თავს დაგნათოდეს გამარჯვების მზე. სულ ყვაოდეს შენი სიჭაბუკის ყვავილი, შენი მტევანდასხმული ვაზი, დაუშრეტელი რძით ჩქეფდეს შენი მიწის ძუძუ, სულ ნათობდეს შენი გონების ნათელი, დაუშრეტელი იყოს შენი ღონის მარაგი! ქართველო ხალხო, იდიდე შენი შრომით, გიმრავლოს შუქის კაცები, ჯაფის კაცები, შემოქმედნი გულისა, გონებისა, შრომისა! გიმრავლოს ხელსვავიანი შრომის გმირები და გმირებიც ვაჟკაცობისა! გიცოცხლოს მეკვლე, მეჭაშნიკე, მახარობელი, მოერთჯამე, ძმა და მეგობარი, მეუღლე სიყვარულისა! სულ ვარდული განთიადი ბრწყინავდეს შენს მწვერვალებზე და ველებზე! სულ იცინოდეს შენს მკერდზე თვალმაისი გაზაფხული! აივსე მზის ჯანითა და ბედნიერებით, ძმათა და მეგობართა თანამყოფობით იყავ ურღვევი, მყარი და მტკიცე! წყალი მიდის წყლისკენ და ძმობილი ძმას დაეძებს. ია მომგონებელსა, ვარდი მახსენებელსა. გიცოცხლოს წინაპართა დიდი სახელი, არწივთა სადარ სამშობლოს გმირ დამცველთა სახელი! შინმოუსვლელთა, ტყვიაასხმულთა ხსენება მუდამ გედიდებინოს! სულ ელავდეს ბედაური ოქროს ენა შენი პოეტისა, ოქროს ძაფზე დათვლილიყოს ახალ-ახალი ლექსები! მუდამ ისევე გესმოდეს სეფე სიტყვა რუსთაველისა, დიდება სახელსა მისსა! ნურც გაგვცვეთოდეს ქართველებს ტყავი ვეფხისა, ნურც დაღლილიყოს შენი ჩაქუჩი, შენი ჩანგური, შენი აზრი და ინტელექტი! შენი ხელოვნება, მეცნიერება და შენი ხარაჩოები კიდევ უფრო მაღლა ასულიყოს; შორს, საქართველოს გარეთ გასულიყოს ქართველ დიდოსტატთა, დიდმეცნიერთა ქართული სახელი!

ქართველო ხალხო! აღარ გენახოს ყამირი, ტრამალი, ნაბაღარი, ნავენახარი, აღარ იყოს არაშენდა, სულ აშენდა ყოფილიყოს! მრავალი გქონდეს სახვნელი, სამკელი, გასალეწი, დასაკრეფი, დასარგავი! გიმრავლოს ზვრები, სოდაბუნები, პლანტაციები, წალკოტები, ბაღნარები! სიუხვე არ მოჰკლებოდეს შენს მაღაროებს, შახტებს, ბუდობებს! კიდევ მეტად გასარწყავდეს ურწყული და უდაბური ადგილები! მეტი დაგედგას ბარაქის ხვავები, ზვინები, წითელი მაჭრით იმღეროს მარნებში ღარებმა, სულ რძე დასდიოდეს შენს მინდვრებს და იალაღებს, სულ ოქროთი და მარჯნით დახუნძლულიყოს შენი ხეხილის ტოტები. ბარაქის ხვავები ბრწყინავდნენ ოქროს ფერებით. სავსე იყოს შენი ქვევრი და გოდორი, დილავარდისა გაშალოს ნიავმა, პირიმზე დაგნათოდეს ღიმილით! გიმრავლოს მეწველი ფური, რქადაქნილი ჭედილა! არ გამოლეოდეს შენს ტყეებს რქამაღალი ირმები, გაუმარჯოს შენს სუფრას! სულ სადღეგრძელოდ ყოფილიყოს ავსებული მამეულ-პაპეული ჯამი, ყანწი, ფიალა, კვანჩხა, ფარფლა, აზარფეშა, სულ დღეგრძელობასა, კოცნასა და სიყვარულში შესულიყოს, სულ მოსალხენად!

ძმებო და დებო! ვიშრომოთ და გავაბარაქოთ ჩვენი მიწა! ავწიოთ დროშა ჩვენი შემოქმედებისა და კიდევ უფრო ავამაღლოთ ქართველი ერის სახელი. გისურვოთ, რომ ჩვენს სამშობლოში მუდამ ტრიალებდეს საამო საუნოსელი სურნელება და ელავდეს ვარდული ბრწყინვალება!

ქართველო ხალხო! სულ ძლიერდებოდეს ძალა შენი სულისა, შენი შემოქმედებისა. კიდევ დაგეპყროთ ახალ-ახალი მწვერვალები.იხარე და იმრავლე ისე, რომ კერაზე ვეღარ ეტეოდე!

ქართველო ერო! იყავ ღონეძლიერი, ლაღი, ბედნიერი, კერა, ოჯახი და სამშობლო გიბედნიეროს! თაფლის სიტკბოთი შეგერგოს ახალი წელი! სულ გამარჯვებასა, მზეგრძელობასა, სიყვარულში და დაუსრულებელ სიხარულში.

1965 წლის 31 დეკემბერი



ჯაბა ნაცვლიშვილი

ორიათას ოცის ბოლო დღისა ანუ საახალწლო

ესეც ასე! ვისთვის კარგი, ვისთვის – ცუდი, გაილია 2020!

გამოგვცვალა დრომ სუყველა და ეს წელიც გამოცვალა, როგორც ცხვირსახოცი!

გავიარეთ, როგორც წიგნი, ან სხვქტაკლი, ანდა კინო 2020.

თითქოს როლებს გვინაწილებს მონმაემონ ჩიკამაცუ ანდა კარლო გოცი.

ამ ახალ წელს მოგილოცავთ, უველას ვინაც გავაცილეთ 2020!

არ იღლება ეს ქვეყანა ჯერ ერთურთის ხოცვითა და მერე მკვდრებზე ლოცვით.

ღმერთმა უველა გაანათლოს, ვისაც ერგო სიკვდილის წლად 2020!

ვისი სულიც ზეცად ზეობს, ვინც დააჩნდა დედამიწას როგორც მცირე ბორცვი!

თან ნიშნს გვიგებს, თან დაგვცინის, თან ბავშვივით ენას გვიყოფს 2020!

ქიციც ვიცით, ქიცმაცურიც, მაინც გვცემს და გვაქუცმაცებს ნაცია თუ ქოცი.

ველარ ბრწყინავს ოქრო-ვერცხლი, ბრონ-ბადახში, გინა მიჯრით მიწყობილი ძოწი,
ჩუქურთმებში ცოცხლდებიან ეურმენი და საკურა და ბრონწეული, ბრონწი.

თუ ბუნებამც არ გვიშველა, ვერ გვიშველის ერაზმუსი, გინდაც ჰესტალოცი.
გინდა იყოს XIX საუკუნე, გინდა იყოს 2020!

ღმერთმა ქნას და, ჩამოვიხსნათ ნიღბები და მერე დავმღეთ ერთმანეთის კოცნით.
ისტორიას ჩავაბაროთ, ჰირბადე და „დარჩიშინ“ და 2020!

არასოდეს დავიღალოთ ფრენითა და სირბილით და თუნდაც კლდეზე ცოცვით,
არასოდეს დავივიწყოთ ეს მეგალო მაგალითი – 2020!

ღმერთმა მისცეს დღე გრძელი და საარაკო ბედიღბალი ქვეყნის გასაოცი,
გოგო-ბიჭებს, უველას, ვისაც დაბადების წლად არგუნეს 2020!

მოგილოცავთ, ვისაც ამ წელს არ გქონიათ ანდა გქონდათ დასტურ მოსალოცი!
ამის მერე დაე, გვექნეს უკეთესი წლები, ვიდრე 2020!

2020: არშემდგარი ნიღბიანი წელიწადი...

2020 წელი კაცობრიობას დიდხანს ემახსოვრება კორონავირუსისა და მისი მრავალრიცხოვანი მსხვერპლის გამო. მაგრამ ამ წელს არ დაივიწყებენ იმ მოვლენებისთვისაც, რომლებიც ჩაიშალა ან გადაიდო პანდემიის პირობებში.

2020 წლის დამდეგს გავრცელებულმა ცნობამ, რომ რუსეთი სახელმწიფოს ხელშეწყობით მოქმედი დოპინგის გამო არ დაიშვება მოახლოებულ ოლიმპიურ თამაშებზე, გააჩინა ეჭვები, მისცემენ თუ არა რუსეთს ზაფხულისთვის დაგეგმილი ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების უფლებას. მაგრამ იმ დროისთვის, როცა ოლიმპიური თამაშები და Euro2020-ის ტურნირი უნდა დაწყებულიყო, ეს პოლემიკა კორონავირუსის პანდემიის ნისლში ჩაიკარგა. არა მხოლოდ ყველა გუნდი და სპორტსმენი გამოეთიშა ამ ორ შეჯიბრებას, მთელ მსოფლიოში აიკრძალა მასობრივი ღონისძიებები, ხოლო მაყურებლები და მონაწილეები შინ გამოკეტილი აღმოჩნდნენ.

შემოღებულმა აკრძალვებმა დომინოს ეფექტი იქონია ყველაზე რუტინულ და ჩვეულებრივ მოვლენებზეც კი.

ახალი წლის წინ ჩინეთის მიერ ეპიდემიის გამოცხადება სამუშაო ადგილების, ტრიბუნების, პლაჟების, სკოლებისა და რელიგიური თავშეყრის ადგილებისთვისაც კი იყო იმის მომასწავებელი, რომ დგებოდა წელი, რომელიც, არსებითად, არ არსებობდა.

კოლექტიური ინფექცია

კაცობრიობის არსებობის გარიჟრაჟიდან ადამიანი ხალხში, ჯგუფში პოულობდა საერთო იდენტობის გრძნობას. როგორც სოციოლოგმა ემილ დიურკჰაიმმა განსაზღვრა ეს ფენომენი ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ, მასობრივი თავშეყრა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორ საკრალური რიტუალი, რომელიც ინდივიდებს საშუალებას აძლევს, „კოლექტიურ აგზნებაში" გაერთიანდნენ ჯგუფში და ამით დაიკმაყოფილონ მიკუთვნებულობის მოთხოვნილება.

სამწუხაროდ, უშუალო ფიზიკურმა სიახლოვემ შეიძლება დაავადების გავრცელებას შეუწყოს ხელი თავად ამ თავშეყრის ფარგლებს გარეთაც.

„ხალხი შეიძლება სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდეს, შეერიოს ბრბოში, ერთმანეთს გადასდოს ინფექციები და შემდეგ შინ წაიღოს ისინი," წერდნენ ფსიქოლოგები ნიკ ჰოპკინსი და სტივენ რეიჩერი 2016 წელს, როცა ისინი მასობრივი თავშეყრების სამედიცინო ასპექტებს ეხებოდნენ.

ისეთი ძლიერ გადამდები ინფექციის შემთხვევაში, როგორიცაა ახალი ტიპის კორონავირუსი, რომელიც ჰაერით გადადის, მრავალმა მთავრობამ, ჯანდაცვის მუშაკმა თუ ღონისძიებების ორგანიზატორმა დაასკვნა, რომ საჭირო იყო აკრძალულიყო მასობრივი თავშეყრები, რაც უნდა წმიდათაწმიდა იყოს ისინი.

11 მარტს, როცა მსოფლიოში კორონავირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა 115 ათასს გადააჭარბა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) ღრმა შეშფოთება გამოხატა „გავრცელების მასშტაბისა და სიმძიმის საგანგაშო დონეების, ასევე უმოქმედობის საგანგაშო დონის გამო" და პანდემია გამოაცხადა.

იმავე დღეს აშშ-ის კალათბურთის ეროვნულმა ასოციაციამ (NBA) — მსოფლიოში კალათბურთის ყველაზე მნიშვნელოვანმა ლიგამ, რომელიც მთელი სამყაროს ათლეტებს იზიდავს — გამოაცხადა, რომ ყველა თამაშს აუქმებს მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ სპორტსმენს კორონავირუსი დაუდგინდა. 14 მარტს დროებით გააუქმეს მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი საფეხბურთო ლიგის, ინგლისის პრემიერ ლიგის თამაშები. 17 მარტს რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ქვეყანაში ყველა მატჩი გააუქმა.

ამის შემდეგ უძველესი სპორტული შეჯიბრების ჯერი მოვიდა. მარტის ბოლოს გამოაცხადეს, რომ ტოკიოს ოლიმპიური თამაშები 12 თვით გადაიდო, „რათა ჯანმრთელობის პრობლემა არ შეექმნათ ათლეტებს, ყველას, ვინც დაკავშირებულია ოლიმპიურ თამაშებთან, და საერთაშორისო თანამეგობრობას." 1 აპრილისთვის ინფიცირებულთა რიცხვმა 1 მილიონს გადააჭარბა 172 ქვეყანასა და ექვს კონტინენტზე. გარდაიცვალა 50 ათასზე მეტი ადამიანი. აშშ-მა ინფიცირების დადასტურებული შემთხვევებით ჩინეთს გაუსწრო. აპრილში ასევე ცნობილი გახდა, რომ პანდემიამ საფრთხე შეუქმნა ისლამური სამყაროსთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას — ჰაჯს. საუდის არაბეთმა მსოფლიოს მუსლიმებს მოუწოდა, თავი შეეკავებინათ წმიდა სალოცავებში მოგზაურობისგან. ხოლო ივნისში საუდის არაბეთმა, სადაც ახლო აღმოსავლეთში კორონავირუსის გავრცელების თვალსაზრისით ერთ-ერთი უმძიმესი ვითარება შეიქმნა, გამოაცხადა, რომ კრძალავს მომლოცველთა ყოველწლიურ მოგზაურობას მექასა და მედინაში და მომლოცველთა რაოდენობა, რომელიც ჩვეულებრივ 2 მილიონს აღწევს, ათასამდე შეამცირა.

შინ ყოფნის სიტკბო

2020 წელს აკრძალული მასობრივი ღონისძიებების სია ძალზე გრძელია და ის საზოგადოების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. წელს ვეღარ ნახავდით მთვრალი ტურისტების თავშეყრას ჩრდილოეთ ესპანეთში, სან-ფერმინში, სადაც აღარ ჩატარებულა ტრადიციული ფესტივალი ხარებით. ასევე ჩაიშალა მიუნხენის Oktoberfest-ი — ლუდის ყოველწლიური ფესტივალი-ღრეობა.

არ ჩატარდა კრიკეტის მსოფლიო ჩემპიონატი და

ვესტინდოეთის გუნდს ჩემპიონის ტიტულის დაცვა მომავალი წლის შემოდგომაზე ინდოეთში მოუწევს ავსტრალიის ნაცვლად. წელს ირანელები ძირითადად შინ გამოკეტილები, კარანტინში შეხვდნენ ნავროზობას, სპარსული კალენდრით ახალი წლის დაწყებას.

ზოგ ქვეყანაში გაუქმდა ქალთა საერთაშორისო დღე. გაუქმდა ევროვიზიის კონკურსი, გაუქმდა Rolling Stones-ის, ელტონ ჯონისა და ჯასტინ ბიბერის ტურნეები. ტურიზმს რაც შეეხება, 2020 წელი აღინიშნა საერთაშორისო რეისების დაუსრულებელი გადადებით, ცარიელი პლაჟებით და ჟრუანტელის მომგვრელი უპრეცედენტო სიწყნარით ქალაქების ცენტრში.

არ ჩატარდა მრავალი მარათონი, რომლებიც პე-

რიოდულად ავსებს ხოლმე მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის ქუჩებს.

ცოტა რამ დარჩა აღსანიშნავი

წელს არ შედგა მთელი რიგი პრესტიჟული ღონისძიებები, მათ შორის ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი გოლფში; უიმბლდონის ტურნირი ჩოგბურთში და პარიზის საავიაციო შოუ, რომელიც 2021 წლის დამდეგს გაიმართება.

პანდემიამ დიპლომატიის პარალიზებაც გამოიწვია. სერიოზული წინაღობები შეექმნა ავღანეთის სამშვიდობო პროცესს; რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გააუქმა ბალკანეთის ტურნე; ბულგარეთის პრეზიდენტმა რუმენ რადევმა კი უარი თქვა ესტონეთში ვიზიტზე, სადაც საინვესტიციო ფორუმში უნდა მიეღო მონაწილეობა. რუსეთში ეკონომიკის სფეროს ყველაზე დიდი მოვლენა — სანქტ-პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი — გაუქმდა, რათა საფრთხე არ შექმნოდათ რუსეთის მოქალაქეებსა და ფორუმის უცხოელ მონაწილეებს.

შობა-ახალი წელი

წლის ბოლოს სხვადასხვა ვაქცინის გამოჩენამ იმედები წარმოშვა. მაგრამ მაშინ, როცა მსოფლიო მოუთმენლად ელის, როდის აღნიშნავს ამ ძალზე რთული წლის დამთავრებას, ჩნდება ახალი შიშები, რომ განვითარებადი ქვეყნები ვაქცინის რიგში სულ ბოლოს აღმოჩნდებიან.

მართალია, ზოგი ღონისძიების ჩატარება მაინც ხერხდება, — დამსწრეთა გარეშე ან სოციალური დისტანციის დაცვით, — მაგრამ ზოგადად მაინც ძნელია სადღესასწაულო პერიოდის დადგომაზე ლაპარაკი. მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვნად იზღუდება შობისა და ახალი წლის საზეიმო ღონისძიებები, ზოგან კი — მაგალითად, მოსკოვსა თუ ბუდაპეშტში — საერთოდ უარს ამბობენ მათზე.

გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა

ცხადია, ყოველივე ზემოთქმული ეხება საქართველოსაც, სადაც კორონავირუსის პანდემიის პირველი ტალღისთვის თავის წარმატებით გართმევის შემდეგ, ზაფხულის დამდეგს — ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად — გაჩნდა იმედები, რომ ცხოვრება კვლავ ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდებოდა. მაგრამ მეორე ტალღის მასშტაბებმა და სიმწვავემ, ეს იმედი გააქარწყლა. ხალხს კვლავ უწევს ცხოვრების გაგრძელება იზოლაციისა და ყოველდღიური ყოფის მკაცრი რეგულირების პირობებში. კვლავ დაისადგურა კარჩაკეტილობის პერიოდმა; ისევ დაბრუნდა რეფლექსიების, საკუთარ თავთან მარტო ყოფნის, განუხორციელებელი გეგმებისა და აუსრულებელი ოცნებების ამარა დარჩენის დრო.

რაც შეეხება მნიშვნელოვან მასობრივ ღონისძიებებს, რომლებიც დააზარალა პანდემიამ 2020 წელს, საქართველო ამ მხრივ შედარებით იოლად გამოვიდა, ვიდრე ბევრი სხვა ქვეყანა, სადაც მსოფლიო მასშტაბის ფორუმები ჩაიშალა. რაც მთავარია, შედგა წლის მთავარი მოვლენა — საპარლამენტო არჩევნები. თუმცა 31 ოქტომბრამდეც და მის შემდეგაც, ხშირად გაიგებდით აზრს, რომ ჯობდა, ის არ ჩაეტარებინათ — არა იმდენად სანიტარიული უსაფრთხოების მოსაზრებებით, რამდენადაც პოლიტიკური კრიზისის გამო, რომელიც თან სდევდა ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას მთელი წლის განმავლობაში და რომელიც მისი ჩატარების შემდეგაც არ დასრულებულა.

საპარლამენტო არჩევნების ბედი არ ერგო მრავალ მასობრივ ღონისძიებას, რომელიც ან გადაიდო, ან გაუქმდა. მაისში საქართველოს უნდა ემასპინძლა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომისთვის, როგორც კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყანას. მაგრამ მინისტერიალის თბილისში ჩატარებამ საზოგადოების ნაწილში პროტესტი გამოიწვია სერგეი ლავროვის მეთაურობით რუსეთის დელეგაციის მოსალოდნელი სტუმრობის გამო. მოგვიანებით გადაწყდა, რომ სხდომა თბილისის ნაცვლად სტრასბურგში ჩატარდებოდა, თუმცა ამის მიზეზი არ ყოფილა პანდემია. საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ფორუმს მისამართი შეეცვალა იმის გამო, რომ ქვეყანაში თავიდან იქნეს აცილებული პოლიტიკური დესტაბილიზაცია. მაგრამ შემდგომში — ამჯერად უკვე პანდემიის გამო — გადაწყდა, რომ სხდომა არც სტრასბურგში ჩატარდებოდა.

თუკი თბილისში ლავროვის სტუმრობის ჩაშლა ბევრს არ ჩასწყვეტდა გულს, ამას ვერ ვიტყვით ზოგიერთ სხვა მოვლენაზე, რომლებისთვისაც საქართველოს უნდა ემასპინძლა 2020 წელს.

სპორტში ეს იყო 19 წლამდე ასაკის ფეხბურთელ გოგონათა ევროპის ჩემპიონატი, რომლისთვისაც საქართველოს უნდა ემასპინძლა, და თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობაში — ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას მემორიალი. არანაკლებ გააწბილა გასულმა წელმა კინოს მოყვარულები. საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი (BIAFF), რომელიც ზაფხულში უნდა გამართულიყო, პანდემიის გამო გადაიდო. მაგრამ, დიდი იმედების მიუხედავად, ის ვერც ახალ ვადებში ჩატარდა. საბოლოოდ ფესტივალი ონლაინ რეჟიმში გაიმართა. ისევე, როგორც თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი.

ახალი წლის მოახლოებისას, როგორც წესი, იმაზე ფიქრობენ და იმედოვნებენ, რომ შემდეგი წელი წინაზე უკეთესი იყოს. 2020 წლის ბოლოს მით უმეტეს გასაგებია ასეთი განწყობა. მაგრამ, როგორც მედიცინის სპეციალისტები გვეუბნებიან, COVID-19-თან დაკავშირებით ნაჩქარევად არ უნდა მივეცეთ ოპტიმიზმს, ვინაიდან პანდემიის დასასრული ჯერ კიდევ შორსაა. ამიტომ 2021 წელსაც მზად უნდა ვიყოთ, რომ შეიძლება ვერ ჩატარდეს ყველა პოლიტიკური, სპორტული, კულტურული თუ სხვა ღონისძიება. მომავალ წელსაც შეიძლება მოგვიწიოს გარკვეული შეზღუდვების პირობებში ცხოვრება და იმაში კიდევ ერთხელ დარწმუნება, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის — „საზოგადოებრივი ცხოველისთვის" — თავისნაირების გარემოცვაში ყოფნა.

ბიძინა რამიშვილი,
რადიო „თავისუფლების" ჟურნალისტი 1991 წლიდან.
მაიკლ სკოლონი

◎ მეკვლეები

იმედი სულ ბოლოს კვდებაა!

მოგვიახლოვდა ხარის წელიწადი, რომელიც მრავალ საინტერესოს ჰპირდება სპორტის მოყვარულებს. ბუნებრივია, ახალ გამოწვევებზე საუბრისას უპრიანად ჩავთვალეთ განვლილ სეზონსაც შევხებოდით, მით უმეტეს, იმ უხილავი მტრის გათვალისწინებით, ძირფესვიანად რომ შეცვალა 2020-ის ასპარეზობათა კალენდარი.

მაშ ასე, ჩვენი თხოვნით, ერთგვარ მეკვლეობას ქართული სპორტული ოჯახის თვალსაჩინო წარმომადგენლები დათანხმდნენ და ჩვეული პირუთვნელობით გვიზიარებენ საკუთარ პოზიციას. სიმბოლურია, რომ მათ ოპტიმიზმიც აერთიანებთ.



ნონა გაფრინდაშვილი – მეამაყება, რომ ჩვენი სამშობლო ღირსეულად უმკლავდება ორ ვირუსს – როგორც კორონას, ისე არანაკლებ ვერაგს – ანტისახელმწიფოებრიობის მორევში გადაშვებულ დესტრუქციულ ოპოზიციას. არა უშავს – როგორც ყოველთვის, მჯერა, კეთილი ამჯერადაც სძლევს ბოროტს.

რაც შეეხება ბრძენთა თამაშს, დარწმუნებული ვარ, პანდემიით გამოწვეული იძულებითი შესვენების შემდეგ ქართველი მოჭადრაკეები გაისად არაერთხელ გაახარებენ გულშემატკივრებს. მათგან ხომ მხოლოდ წარმატებებს არის მიჩვეული სრულიად საქართველო.

ნინო სალუქვაძე – წესით, ჩემს მეცხრე(!) ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე მხოლოდ ოპტიმალური კონდიციების აკრეფაზე უნდა ვზრუნავდე, მაგრამ ინფიცირების თავიდან არიდების გარდა, როგორც ამ ქვეყნის რიგით მოქალაქეს, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სატკივარიც მაღელვებს.

საბედნიეროდ, სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელი ფასილიტატორი ელჩების სახით საქართველოს ერთგული მეგობრები ჰყავს და გამორიცხულია, მათი ძალისხმევა დაპირისპირებულ მხარეთა შორის კონსენსუსის მიღწევით არ დასრულდეს.



რომან რურუა – როგორ შეიძლება, როგორც კერძო სექტორში მოღვაწე ადამიანს, არ მახარებდეს კომპანია „ქართლი ტექსტილის“ მორიგი ობიექტის გახსნა რუსთავში, რომელიც აჭარის მკვიდრმა მეწარმემ გია ლომინაძემ განახორციელა? ეს მაგალითი სხვათათვის მისაბაძი უნდა გახდეს! დიახ, ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ წუწუნს კონკრეტული საქმის კეთება და დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა სჯობს.

იგივე შეიძლება ითქვას ქართველ ფალავნებზეც. ვიმედოვნებ, ტოკიოს ოლიმპიური ხალიჩიდან ისინი თავაწეულნი დაგვიბრუნდებიან.

ალექსანდრე ჩივაძე – მართალია, წლევანდელი სეზონი ეროვნულმა ნაკრებმა მძიმე დამარცხებებით დაასრულა, მაგრამ ქართველი საზოგადოება მაინც ოპტიმისტად რჩება, რასაც ზურგს საფუძვლიანი არგუმენტები უმაგრებს.

მე, როგორც თენგიზ სულაქველიძესთან და რევაზ ჩელებაძესთან ერთად მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორს, მჯერა, რომ „ჯვაროსანთა“ დელეგაცია იაპონიის დედაქალაქში მიღწეული ღირსეული შედეგებით გაგვახარებს.

იქნებ, მათმა წარმატებებმა ჩააქროს საქართველოში დანთებული პოლიტიკური ცეცხლი და მხარეები მორიგებამდე მიიყვანოს...

ლაშა ტალახაძე – ნურავის ეგონება, რომ რადგან სათქმელს მხოლოდ ფიცარნაგზე ვამბობ, ამიტომ გამოკვეთილი მოქალაქეობრივი პოზიცია არ გამაჩნია ან ვინმეზე ნაკლებად მიყვარს სამშობლო.

არამც და არამც!

უბრალოდ, უსაგნო დებატებში დროისა და ემოციების ფლანგვას ვურბივარ და ვცდილობ, ჩემი საქმე პირნათლად გავაკეთო, რაც ისევ საქართველოს დიდებას მოხმარდება.

ასე იყო აქამდე და ასე იქნება გაისადაც – ოლიმპიურ ტოკიოში!

„სრ“ სპორტის რედაქცია.

◎ სეზონის ფინიშზე

ღირსეულად გააცილეს

კორონავირუსის პანდემიის გამო საკმაოდ შეკვეცილი სპორტული სეზონი ქართველმა ძალოსნებმა დუშეთის სანაკრებო ბაზაზე გამართული ეროვნული თასის გათამაშებით გააცილეს.

აღსანიშნავია, რომ ფიცარნაგზე ასპარეზობას მოწყურებული თითქმის ყველა ჩვენი წამყვანი შტანგისტი გამოვიდა, რაშიც ზოგიერთი გამარჯვებულის დასახელებაც დაგარწმუნებთ: შოთა მიშველიძე, რევაზ დავითაძე, გიორგი და ირაკლი ჩხეიძეები, კახა ასანიძე და თვით ლაშა ტალახაძე!

გეჟან დოლიძე



◎ რჩეულნი

ტატამის რაინდები

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ წინა სეზონის რჩეულნი გამოავლინა და საამაყოა, რომ ორ ნომინაციაში უძლიერესად ქართველი კიმონოიანები მიიჩნია.

კერძოდ, პლანეტის საუკეთესო ძიუდოისტად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ლუხუმ ჩხვიმიანი (60 კგ) დასახელდა, ხოლო ამომავალ ვარსკვლავად 23-წლამდელებსა და უფროსებში კონტინენტის ოქროსმედალოსანი, დიუსელდორფის გრანდ სლემის გამარჯვებული ტატო გრიგალაშვილი (81 კგ) აღიარეს.

ვულოცავთ!

კოგა კოგახიძე

◎ ლეგიონერი

სტაბილურობის განსახიერება

ზღაპარი გრძელდება – ლიგა ენდესას მე-15ტურში მე-13(!) გამარჯვება მოიპოვა „ტენერიფემ“ – ამჯერად გიორგი შერმადინის ყოფილ კლუბ „ანდორასთან“ – 93:81 და ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილში მეორე ადგილს ინარჩუნებს.

კუნძულელთა ქართველი ლიდერი პარტნიორთაგან ამჯერადაც საუკეთესო იყო – 25 წუთში 17 ქულა, 11 მოხსნა, 2 შედეგიანი გადაცემა, 3 დაფარება და კიდევ ერთხელ ყველაზე სასარგებლო მოთამაშის პრიზი.

ახალ წლამდე გიოს გუნდს „ესტუდიანტესთან“ შეხვედრა ელის.

* * *

რეგულარული სეზონი ხეირიანად ჯერაც არ გახურებულა და „დალასმა“ ნბა-ს ახალი რეკორდის დამყარება უკვე მოასწრო.

საუბარია ერთი ტაიმის 50(!) ქულით მოგებაზე „კლიპერსთან“ – 77:27. თვით შეხვედრა ტეხასელთა პირველი გამარჯვებით დასრულდა ორი მარცხის შემდეგ – 124:73, ხოლო კალიფორნიელებმა, რომლებსაც კავაი ლეონარდი აკლდათ, ორი წარმატების შემდეგ პირველად წააგეს. აღსანიშნავია „მავერიქსის“ სლოვენიელი ვარსკვლავის ლუკა დონჩიჩის თითქმის სამმაგი დუბლი – 24 ქულა, 8 პასი და 9 მოხსნა.

დავძენთ, რომ ძველი მიღწევა – 49 ქულა „გოლდენ სტეიტს“ ეკუთვნოდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ვითომ?

გვაცალეთ, ბაჭონო!

პირდაპირ, გაოცდები კაცი – ჯერ მხოლოდ ასწლეულის მეხუთედი მიიწურა და სულსწრაფმა „ყოვლისმცოდნეებმა“ დუბაიში გამართულ „გლობალ სოკერ ევორდის“ ცერემონიალზე უკვე XXI საუკუნის რჩეულნი გამოავლინეს:

საუკეთესო ფეხბურთელი – კრიშტიანუ რონალდუ (აჯობა მესის, რონალდინიოსა და სალაჰს);

საუკეთესო მწვრთნელი – პეპ გვარდიოლა (გაუსწრო კლოპსა და მოურინიუს);

საუკეთესო კლუბი – „რეალი“ (ჩამოიტოვა „ბარსელონა“ და „ბაიერნი“).

სამაგიეროდ, რეკორდმაისტერს ბადალი არ ჰყავდა მეორე კონკურსში, რომელმაც 2020 წლის ნომინაციებში უძლიერესნი დაასახელა – მოგეხსენებათ, წლეულს ბავარიელებმა ყველა ტურნირი მოიგეს და ეს მოსალოდნელიც იყო:

გუნდი – „ბაიერნი“;

მოთამაშე – რობერტ ლევანდოვსკი;

მწვრთნელი – ჰანს-პეტერ ფლიკი.

გიორგი შოთაძე

სანთელი

რეზო სტურუა

მოულოდნელად შეწყდა ქართველი ერის ღირსეული შვილის, ცნობილი მეცნიერის, ახალგაზრდობის აღმზდელის, უნიჭიერესი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ რევაზ სტურუას გულისცემა. ქვეყანამ უერთგულესი შვილი დაკარგა — შვილი, რომელიც მრავალი ათეული წელია სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, სადაც სახელოვნად განვლო გზა წარჩინებული სტუდენტობიდან პროფესორობამდე. ბატონმა რევაზმა ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა ქალაქ ბათუმში და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ძირძველი ტრადიციების მქონე სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტს მიაშურა, გადაწყვიტა სამთო საქმის ინჟინერი გამხდარიყო. სამთო-ინჟინერ-ტექნოლოგიის კვალიფიკაციით ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სულ მალე მოსკოვის მყარი საწვავი წიაღისეულის გამდიდრების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი გახდა. 1970 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და კვლავ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მშობლიურ კათედრაზე განაგრძო მოღვაწეობა. 1971 წელს სათავეში ჩაუდგა ინსტიტუტში ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებასაც, სულ მალე ახალგაზრდა ასაკში, იგი სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების კათედრის გამგედ აირჩიეს, რაც იმ დროისთვის უაღრესად იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა. 1983 წელს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სინამდვილეში მან პირველმა დაიცვა წარმატებით სადოქტორო დისერტაცია, სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების პრობლემებზე, რაც ქართული სამთო სამეცნიერო სკოლის თვალსაჩინო მიღწევა გახლდათ.

უაღრესად ფართო და მასშტაბური იყო პროფესორ რევაზ სტურუას სამეცნიერო მოღვაწეობის დიაპაზონი. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა შავი და ფერადი ლითონების გამოდნობის ტექნოლოგიებთან ინტენსიური ენერგეტიკული პროცესების კომბინაციური მეცნიერული საფუძვლები. პროფესორმა რევაზ სტურუამ და მისმა მოწაფეებმა შეიმუშავეს მთელი რიგი მადნების ფლოტაციური გამდიდრების რეაგენტთა ხსნარებით, პულპისა და წყლის ინტენსიური იმპულსური ელექტროქიმიის თეორიისა და პრაქტიკის ძირითადი დებულებები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ რ. სტურუას ხელმძღვანელობით ჩატარებული მრავალმხრივი კომპლექსური კვლევები ჭიათურის აუზის ღარიბი მანგანუმის მადნების გამდიდრების ტექნოლოგიური სქემების ოპტიმიზაციის მიმართულებით, რითაც მიღწეული მთელი რიგი ტექნოლოგიური და საინჟინრო პრობლემების გადაწყვეტას მიაღწიეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტით.

პროფესორ რ. სტურუას განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ტყიბულის საბადოს ძნელად გასამდიდრებელი ნახშირების გამდიდრების ტექნოლოგიის სრულყოფის საქმეში. იგი არის აგრეთვე ე.წ. „ლიპტობიოლიტური“ ნახშირების გამდიდრების ორიგინალური ტექნოლოგიის შემუშავების ერთ-ერთი ავტორი.

პროფესორ რ. სტურუას ხელმძღვანელობით დამუშავდა ტყიბულჰესის წყალსაცავის გაწმენდის ეფექტური ხერხი, რომელიც, ამასთანავე, ამოღებული მყარი მასალიდან მაღალხარისხოვანი ენერგეტიკული ნახშირებისა და სამშენებლო სილების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

პროფესორ რ. სტურუას სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგები თავმოყრილია 150-ზე მეტ ნაშრომში, 28 გამოგონებაში, ორ მონოგრაფიასა და სამ სახელმძღვანელოში. მისი თავკაცობით დაცულია სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები. პროფესორ რ. სტურუას მაღალმა პროფესიონალურმა ავტორიტეტმა საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში განაპირობა მისი არჩევა საქართველოს საინჟინრო, საერთაშორისო საინჟინრო და რუსეთის სამთო აკადემიების ნამდვილ წევრად. პროფესორ რ. სტურუას, როგორც მეცნიერის, მაღალ საერთაშორისო ავტორიტეტზე მიუთითებს ის გარემოება, რომ იგი 1998 წელს აირჩიეს სამთო საქმის საერთაშორისო ასოციაციის წევრად, ხოლო 2000 წელს — აღნიშნული საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

რეზო სტურუას ბიოგრაფიის ოქროს ფურცლები მისი ლექსებია. ისინი გაცოცხლდნენ სულ ახლახან და უკვდავებად იქცნენ. იმდენად უცრემლოდ ვერ წაიკითხავ ამ ლექსებს, რომ ყოველი მათგანი ჩვენთან ერთად არსებობს და იარსებებს სამუდამოდ ჩვენთან ერთად, ჩვენო ძვირფასო ძმაო და მეგობარო რეზო. იქნები ზეციურ საქართველოში უღალატო ძმებთან ერთად სამუდამოდ.

დიდი ილია ბრძანებდა — „ადამიანის უძვირფასესი საუნჯე მისი ვინაობააო“. ყოველგავარი ხმაურის გარეშე საქმის მკეთებელი, შეჭირვებულთა გვერდით მდგომი და, რაც მთავარია, უსაზღვროდ შეყვარებული თავის ხალხსა და ქვეყანაზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე და იმ საქმეზე, რასაც იგი ათეული წლებია თავდადებით ემსახურებოდა. სწორედ ასეთი გახლდათ პროფესორი რევაზ სტურუა.

დ. გურგენიძე, ა. აბშილავა, თ. ახვლედიანი, მ. ადეიშვილი, თ. გაციკაძე, ჯ. გახოკიძე, ზ. გასიტაშვილი, ბ. გულუა, ო. ზუმბურიძე, დ. თავხელიძე, ლ. კლიმიაშვილი, კ. კოპალიანი, ჯ. კუხალაშვილი, რ. კვატაშიძე, ი. კუტუბიძე, თ. ლიპარტია, რ. მიშველაძე, მ. მამისეიშვილი, ე. მეძმარიაშვილი, შ. ნაჭყებია, გ. სიხარულიძე, ბ. სონღულაშვილი, გ. სალუქვაძე, ნ. სამხარაძე, ლ. ტატიშვილი, ა. ფრანგიშვილი, კ. შენგელია, გ. ჩოგოვაძე, ი. ჩხარტიშვილი, ნ. ჩიხრაძე, ო. წეროძე, რ. ხუროძე.

იგორ კვესელავა, თემურ ჯაგოდნიშვილი, ივანე ჯაგოდნიშვილი, ალეკო სიჭინავა, გურამ გვენეტაძე, სულიკო თავბერიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი პრორექტორი, მეცნიერი, პუბლიცისტი და პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი

რეზო სტურუა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, სამეგობროს და სანათესაოს.

არდავიწყება

შენი ხსოვნა ჩვენი მხნეობის საყრდენად დარჩება

რეზო სტურუას ხსოვნას

რეზო, მეგობარო, არ კმარა სიტყვები შენი მოულოდნელად წასვლით გამოწვეული ტკივილის აღსაწერად; არაა იოლი ააწყო წინადადებები იმ სულიერი სიმდიდრის გამოსახატავად, რითაც აძლიერებდი და ალამაზებდი თითოეული ჩვენთაგანის არსებობას და ჩვენი, აგერ უკვე ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მქონე სამეგობროს თანაცხოვრებას.

უფლისაკენ მიმავალ შენს გზას არ ჭირდება ჩვენი სიტყვებით გამოხატული გრძნობებით გალამაზება; ეს გზა — უფლის სამკვიდრებლამდე და ადგილი უფლის სამუდამო სამკვიდრებელში , შენი მიწიერი ცხოვრების წესითაა განათებული და ამაღლებული, რადგან შენ გაუცნობიერებლად არასოდეს მიყვებოდი ცხოვრების დუნე მდინარებას, თავად ქმნიდი შენს ცხოვრებას შენი ძლიერი გონიერებით, განსწავლულობით და ღვთით ბოძებული იმ შეგნებით, რომ ამ წუთისოფელში მთავარი ადამიანური ღირებულება არის სიკეთის ქმნა და უანგარო თანადგომა სხვათა მიმართ;

შენ აყალიბებდი შენს ღირსეულ ცხოვრებას და უანგარო თანადგომის ამ თანდაყოლილი სიბრძნით მუდამ ცდილობდი სხვათა ცხოვრების თავმდაბალი, კეთილი თანამოზიარე ყოფილიყავი;

ჩვენს სამეგობროში, რომელიც გასული საუკუნის 70-ანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა, გამორჩეული ადგილი გეჭირა დასაწყისიდანვე; თავიდანვე იცოდი, რომ ქვეყნის წინსვლის გზა განათლებულ საზოგადოებასა და ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ამაღლებაზე გადიოდა; რამდენი რამ გააკეთე ამისათვის;

შენი პირადი ცხოვრება ტექნიკური უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარეობიდან უნივერსიტეტის პრორექტორობამდე, სტუდენტობიდან დოქტორობამდე ქვეყნის პროგრესული განვითარების მცდელობა იყო.

გვახსოვს, როგორი გულმოდგინებით ცდილობდი და ახერხებდი განათლების მიღები არხები მიგეყვანა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმ ახალგაზრდებამდე, რომელნიც სოციალური მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად ვერ ახერხებდნენ ეპოვნათ ეს არხები დედაქალაქამდე - გვახსოვს, რამდენ რაიონში გაიხსნა შენი ძალისხმევით ე.წ. მოსამზადებელი კურსები და რამდენმა ახალგაზრდამ მიიღო სრული ტექნიკური განათლება ამ ხელშეწყობით; რამდენ მათგანს, განსაკუთრებით შეჭირვებულებს, ბოლომდე არ მოკლებია შენი მზრუნველობა!

და კიდევ რამდენი რამაა სათქმელი, რამდენი სითბო, მზრუნველობის როგორი მარაგი და უშურველი მხარდაჭერის შეუდარებელი მაგალითები დატოვე, რომელნიც რახანია გადასცილდნენ ჩვენი სამეგობროს ფარგლებს და შენს ირგვლივ მადლიერებით გამთბარი სულისმქონეთა ვრცელ სივრცეს ქმნიან.

როცა ქვეყანა შეიცვალა და ბევრი ჩვენგანისა და ზოგადად, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ეს ცვლილება მძიმე განსაცდელი აღმოჩნდა, ჩვენ ვნახეთ, როგორი გონიერებით და ოპტიმიზმით შეხვდი ამ ძირეულ ცვლილებას; შეხვდი იმიტომ, რომ შენ , პროგრესულად მოაზროვნე, შენი აქამდე განვლილი ცხოვრებით, შინაგანად, მენტალურადაც მზად იყავი ამ პროგრესისათვის. შედეგად, ამ ახალ ფორმაციაშიც უპრობლემოდ იპოვე შენი ადგილი, ცხოვრების ახალ ეტაპზე, ახალ, მკაცრად პრაგმატული განწყობილებებით გაჯერებულ ურთიერთობებში გადახვედი შენი თანდაყოლილი შეურყვნელი პიროვნული ღირებულებებით; გახდი ღირსეული პარტნიორი საქმეში, ბოლომდე გახსნილი თანადგომისათვის, სიკეთისათვის, მხარში დგომისათვის.

ჩვენი მეგობრობის პერიოდში ძირეულად შეიცვალა ჩვენი თაობის ცხოვრება; მრავალთა ურთიერთობებმა ვერ გაუძლეს ამ ცვლილებებს; ჩვენმა სამეგობრომ გაუძლო და გადარჩა, გაძლიერდა კიდეც და ამაში შენი დიდი წვლილია;

შეიცვალნენ ადამიანები; ბევრის ზნეობრივმა ღირებულებებმა ვერ გაიარეს მკაცრი ცხოვრებისეული გამოცდები ; შენ ისევ მაგალითად რჩები ჩვენ ცხოვრებაში - შენი უბადლო პიროვნული ღირებულებები ბოლომდე უცვლელი დარჩა; მხოლოდ ერთი მიგყვება გაზრდილი და დამძიმებული - ეს ჩვენი ტერიტორიაშელახული სამშობლოს დღევანდელობით გამოწვეული დარდია; ჩვენი საზოგადოების დღემდე აფორიაქებული, დაულაგებელ- მოუწესრიგებული განწყობა-დამოკიდებულება საქართველოს მყარი, შეუქცევადად პროგრესული განვითარების პირობების შექმნისადმი;

ამაზე საჯაროდ და საქვეყნოდ თითქოს არ ლაპარაკობდი, მაგრამ მასზე შენი გულიდან და გონებიდან ერთბაშად, მრავალგზის, გამაფრთხილებელ და მოწოდებად ამოფრქვეული, ადამიანის თითოეულ უჯრედამდე დასული ტკივილშემცველი ლექსები ღაღადებენ და ეს ლექსებად გარითმული შენი სულიერი მდგომარეობა შენი კიდევ ერთი გამორჩეული პიროვნული ღირსებაა. ძალიან, ძალიან დაგვაკლდები მეგობარო, ამ წუთისოფელში, მაგრამ შენი არსებობა, შენი ხსოვნა კვლავაც და სიცოცხლის ბოლომდე ჩვენი მხნეობის საყრდენად დარჩება.

ბიძინა სონღულაშვილი, გოდერძი ბუკია, გურამ ახალაია, გია მახარაძე, ზურაბ ერძვანია, თეიმურაზ კვარაცხელია, მანანა და ნანა კეკელიძეები, ლეილა გრძელიძე

სანთელი



მეზობლები და მეგობრები როლანდ გილიგაშვილი, იური ოსიპოვი, ვიოლა ჯაფარიძე, არჩილ გოგელია, ასლან აბაშიძე, მანანა დოიჯაშვილი, კოტე კუჭუხიძე ოჯახებით დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მომღერალი, მოღვაწე, ბრწყინვალე მეოჯახე

ალეკო ხომერიკი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ჩეხი არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ ქრისტეს სამსჭვალი იპოვეს

ჩეხეთის არქეოლოგების ჯგუფი აცხადებს, რომ ქვეყნის სამხრეთით, ქალაქ მილევსკოში მდებარე შუა საუკუნეების მონასტერში იმ ჯვრის ნაწილი აღმოაჩინეს, რომელზეც იესო ქრისტე იყო ჯვარცმული.

„უძველესი მონასტრის კედლების დათვალიერებისას, მათში საგულდაგულოდ დამალული ნიშა აღმოვაჩინეთ. მასში აღმოჩნდა ყუთი, რომელშიც ექვსი სანტიმეტრის სიგრძის ჭედილი ლურსმნის ნაწილი იყო. საუბარია ერთ-ერთ ლურსმანზე, რომლითაც იესო ქრისტე ჯვარს აცვეს“, — განაცხადა არქეოლოგების ჯგუფის წარმომადგენელმა ირჟი შინდელარჟმა.

„მეფე იესო“...



ექსპერტმა დასძინა, რომ ძვლების ყუთი დამზადდა ძვირფასი ჯიშის ხისგან, არა უგვიანეს მეხუთე საუკუნის პირველი ნახევრისა. გარდა ამისა, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ოქროს ფირფიტა, რომელზეც ლათინური ასოებით IR იყო ამოტვიფრული, რაც Iexus Rex-ს — „მეფე იესოს“ ნიშნავს.

„მილევსკოს მონასტერში გაკეთებული აღმოჩენა ძალზე მნიშვნელოვანია მეცნიერებისა და ქრისტიანული რელიგიის თვალსაზრისით. კათოლიკური ეკლესიის იერარქები მაშინვე დაინტერესდნენ მისით. ამ აღმოჩენით კულტურული და ისტორიული ღირებულების გადაფასება შეუძლებელია“, — განაცხადა შინდელარჟმა.

უახლოეს მომავალში მეცნიერები აღმოჩენილი სიწმინდეების ლაბორატორიულ კვლევებს გააგრძელებენ.

ქრისტეს სამსჭვალი — ლურსმანი, რომლითაც იესო ქრისტე იყო გაკრული ჯვარზე. მართლმადიდებელ ქრისტიანებს სწამთ, რომ იესო ქრისტეს ჯვარცმისას გამოყენებული იყო ოთხი ასეთი სამსჭვალი. კათოლიკური სამყარო თვლის რომ სამსჭვალი იყო სამი. თუმცა, სხვადასხვა დროს ქრისტეს სამსჭვლების რაოდენობა იცვლებოდა. ზოგის აზრით ის განპირობებული იყო იმით რომ ჯვარზე ლურსმნები არა მარტო ქრისტეს საწამებლად, არამედ უშუალოდ ჯვრის კონსტრუქციული ნაწილისთვისაც გამოიყენებოდა (ორი ძელის ერთმანეთთან დასაკავშირებლად; ფეხის დასადები დაფის და წარწერიანი დაფის დასამაგრებლად). დღესდღეობით აღმოჩენილი ლურსმნები, რომლებიც თავისი ისტორიით უკავშირდებიან ქრისტეს ჯვარცმას — რამდენიმე ათეულია.

ნახევრად მამრი და ნახევრად დედალი

მკლევარებმა აღმოაჩინეს მგალობელი ჩიტის ძალზე იშვიათი და ანომალიურიშემთხვევა — იგი ტანის ერთი მხრით მამალი ფრინველია, ხოლო მეორეთი კი დედალი. მეცნიერები აღნიშნულ მოვლენას აღწერენ როგორც უნიკალურსა და უპრეცედენტოს. კარნეგის ეროვნული ისტორიის მუზეუმში მსგავსი შემთხვევა ბოლო 15 წლის განმვლობაში მხოლოდ მე-5 იმ 800 000 ფრინველიდან, რომელიც შეუსწავლია კვლევით ცენტრს აქამდე.



თავიდან მეცნიერებმა აღნიშნული ფრინველი, ვარდისფერ მკერდიან კულუმბურების ფრინველთა ჯგუფს მიეკუთვნეს. მამალ კულუმბურს აქვს ვარდისფერი შეფერილობის ფრთები, ხოლო დედალს კი ყვითელ-ყავისფერი.

მეცნიერების თქმით, ზემოხსენებულ უცნაურ ჩიტს თანაბრად გააჩნდა სხეულის ისეთი შეფერილობა, როგორც ზუსტად აქვს დედალსაც და მამალსაც. ექსპერტების აზრით, ადგილი აქვს გინანდრომორფიზმის სახელით ცნობილ გენეტიკურ ვარიაციას, როდესაც ცოცხალ არსებაში მამრისა და მდედრის გარეგნული სახე ვლინდება. ამ დრომდე უცნობია, თუ რა ნეგატიური გავლენა გააჩნია გინანდრომფიზმს ფრინველის სიცოცხლეზე და შესაძლებელია თუ არა ორსქესიანმა ჩიტმა მოახდინოს განაყოფიერება.

რომაული ეპოქის სწრაფი კვების ობიექტი

იტალიაში, არქეოლოგები კუნძულ ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად ჩამარხული უძველესი რომაული ქალაქის, პომპეის ნანგრევების ტერიტორიაზე უნიკალური აღმოჩენის მომსწრენი გახდნენ — მათ იპოვეს რომაული ფრესკებით მოხატული ცხელი საჭმლებისა და სასმელების ანტიკური ეპოქისთვის დამახასიათებელი ე.წ სწრაფი კვების ობიექტი, რომელიც ზემოხსენებული ქალაქის მაცხოვრებლებს ემსახურებოდა. ამის შესახებ წერს CNN-ი.

გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული უძველესი ცხელი სასმელებისა და საკვების ე.წ რომაული დახლი არქეოლოგიური პარკის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს, რომელიც საზოგადოებისთვის ამ დრომდე დახურულია. არქეოლოგთა განცხადებით, დაკვირვებისა და ექსპერტული შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ზემოხსენებული ჯიხურის კერამიკის 2000 წლის წინანდელ ჭურჭელში აღმოაჩინეს ცხელი საკვების კვალი.

მაღაზიაში დახლის წინა მხარე მორთული ფერადი ფრესკებით- მათზე გამოსახულნი იყვნენ ის ცხოველები (იხვები და ქათმები), რომლებიც წარმოადგენდნენ ერთგვარ ინგრედიენტებს იმ საკვებისა, რაც ჯიხურში იყიდებოდა.

არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მოხატული და მორთული ბრინჯაოს თასიც, რომელსაც პატერას უწოდებდნენ. მათ აგრეთვე იპოვეს კერამიკული დოქებიც, სადაც ამზადებდნენ სუფებს და შუშავდნენ ხორცს.

შეგახსენებთ, რომ პომპეი ნეაპოლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 23 კმ-ზე მდებარებოდა, სადაც 13 000-მდე ადამიანი ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად ცოცხლად ჩაიმარხა ფერფლში 79 წელს.



სანთელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფიზიოლოგიის და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების სწავლული მდივანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დავით გაგუა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48

ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი

სპარტაკ ძოწულია

599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გოგიაშვილი

599 53-76-16;

ალეკო ასლანიშვილი

599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაკიძე

514 33-33-24

გამომცემლები:

შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა

„კოლორში“

ე. ბაღდავაძის №3

კოლორი ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)

ს—323

2 009882 616932

ავტორთა საჭურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 3.2716; ევრო - 3.9959;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4180;
100 რუბლი - 4.4255; თურქული ლირა - 0.4381;
ავსტრალიური დოლარი - 1.9258;
1000 სომხური დრამი - 6.2619.

ამინდი 30 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -6, დღე +9
მთიანი რაიონები - ღამე -9, დღე +13
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +3, დღე +19
მთიანი რაიონები - ღამე -4, დღე +17
თბილისი: ღამე -1, დღე +9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge